1. საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა. ხალხებისა და ტერიტორიების იერარქია.
2. კავკასია სსრკ-გერმანიის ომში (1941-1945 წ.წ.). ხალხების დეპორტაცია-რეაბილიტაციის პრობლემები.

ლიტერატურა

1. ე.კოდუა. ეთნოსოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბ.2002. გვ.31-64
2. История Дона и Северного Кавказа 1917-2000. Нальчик, 2004. с.123-158
3. ლ.ჯანიაშვილი. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოსტორიული პრობლემები. თბ.2006.
4. Энциклопедия культур народов Юга России. Ростов/Д. 2005, с.17-21

სემინარი №6

1. ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და კულტურული მოდერნიზაცია.
2. რეპრესირებულ ხალხთა დაბრუნება. რეპრესირებულ ხალხთა დაბრუნება და მათი რეაბილიტაციის პრობლემები (20-21 ს.ს. დასაწყისი).

ლიტერატურა

1. ე.კობალიანი, ჯ.კვიციანი. კავკასია 20 საუკუნეში. თსუ, 2001.
2. Мамсиров Х.Б. Модернизация культур народов Северного Кавказа в 20-е годы 20 века. Нальчик, 2004

ცნებები:

დეპორტაცია, რეპრესია, რეაბილიტაცია, პრევენცია, კოლაბორაციონიზმი.

ლოგიკური დავალება;

შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი “ჩრდილოკავკასიის ხალხთა დეპორტაციის ეტაპები” (ბალყარელები, ყარაჩაელები, ინგუშები, ჩეჩნები).

ლიტერატურა

1. ს.კილაძე. ქლუხორისა და ახალხევის რაიონები. // გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №237-242 (2007წ. ნოემბერ-დეკემბერი).
2. Бугай Н.Ф. Правда о депортации чеченского и ингушского народов // «Вопросы истории», 1990, №7
3. Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа. М.2004. с.65-79

მოსხენებები;

1. სომხური ეროვნული მოძრაობა.
2. ქართული ეროვნული მოძრაობა

ლიტერატურა

1. Алексеева Р. История инакомыслия в СССР. М.1992. с.72-80, 82-91

ლექცია №7

კავკასია 50-80-იან წლებში

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. განათლება, მეცნიერება. “ჰომოსოვიეტიკუსის” ფენომენი.

ლიტერატურა

მოხსენება:

ლიტერატურა

1. ე.კობალიანი, ჯ.კვიციანი. კავკასია 20 საუკუნეში. თსუ, 2001.
2. Розин М.Д. Сущий С.Я. Социально-этнические процессы в городской среде Северного Кавказа. Ростов/Д.2003
3. Квициани Д.Д. Подготовка специалистов в высшей школе в 60-80 годы. Опыт и проблемы. На материалах Северного Кавказа. Ростов/Д.1990.

სემინარი №7

1. კავკასიის ხალხთა “საბჭოთა ერთობა” თუ ეთნოიდენტიფიკატორების (მამული, ენა, სარწმუნოება) ლატენტური აქტუალიზაცია?

ლიტერატურა

1. ბ. ომარაშვილი კახეთში მცხოვრები დაღესტნელები. თბ. 2008.
2. История Дона и Северного Кавказа(1917-2000) Ростов/Д-Нальчик,2004
3. Народы Кавказа. Кн.1-2, М.1960-62

კავკასია პოსტსაბჭოთა პერიოდში (1991-2008 წ.წ.).

ლექცია №8

1. სსრკ დაშლა (1991 წ.). და კავკასია. ეროვნებათაშორისო ურთიერთობების გამწვავება (კონფლიქტები მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთს შორის).
2. კავკასიის პოლიტიკური რუკა.

ლიტერატურა

1. Гаджиев К. Геополитика Кавказа. М.2001, с.280-291.
2. Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М.2006.

სემინარი №8

1. სსრკ დაშლა – შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?
2. კონფლიქტები ჩრდილო ოსეთში (რუსეთი, 1992 წ.) და ცხინვალის რეგიონში (საქართველო, 1990-92 წ.წ.).

ლიტერატურა

1. ა.გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. თბ.1990.

2. Гаджиев К. Геополитика Кавказа (Введение). М.2001.
3. Кочиева И. Маргиев А. Грузия. Этнические чистки в отношении осетин. М.2005.

ლექცია №9

ჩრდილო კავკასიის ეროვნული რესპუბლიკები პოსტსაბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივ დინამიკაში.

1. ჩრდილო კავკასიის ეროვნული რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემები 1991-2008 წ.წ. ეთნორელიგიური ექსტრემიზმისა და ქსენოფობიის ზრდა კავკასიაში.

ლიტერატურა

1. ჯ.კვიციანი. სოციალური სინერგეტიკა და კავკასიური ტრანსფორმაცია // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. გამომშვება 10. თბ.2007, გვ.126-143.
2. История Дона и Северного Кавказа 1917-2000. Нальчик, 2004. с.327-349.
3. Дзидзоев В.Д. Национальная политика: уроки опыта. Владикавказ, 2002.

სემინარი №9

1. ეთნოსი – მითი თუ ცივილიზაციური განვითარების ფაქტორი? (მოსხენება)
2. კავკასიის კულტურული სივრცის სეგმენტაცია (ქრისტიანულ, ისლამურ, ტრადიციულ, საბჭოურ და თანამედროვე მასკულტურად) და მათი დახასიათება.

ლიტერატურა

1. ეკოდუა. ეთნოსი – მითი თუ რეალობა? // ეთნოსოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბ.2002, გვ.31-118
2. Этнос. Проблемы социально-культурной самоорганизации Нальчик,2006.

ცნებები;

ინდივიდუალიზმი, დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და თანამშრომლობა, სეპარატიზმი, ეთნონაციონალიზმი, ავტონომია, ფედერალიზმი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი.

კოლოკვიუმი №3

1. სსრკ დაშლა და კავკასია.
2. კონფლიქტების მიზეზები პოსტსაბჭოთა კავკასიაში და მათი დარეგულირების სავარაუდო გზები.

ლიტერატურა

1. Грузины и абхазы – путь к примирению. М.,1998.
2. Ментешавили А. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб.1998.

ლექცია №10

- კავკასია: ფუნდამენტალური და სექტანტური მიმდინარეობების აქტივიზაცია ქრისტიანულ და ისლამურ რელიგიებში.
2. შეარაღებული კონფლიქტების ესკალაცია კავკასიაში. ომი ჩეჩნეთში (1994-96) და კონფლიქტი ჩეჩნეთ-დაღესტანს შორის (1999).

ლიტერატურა

1. ჯ.კვიციანი, ი.კვიციანი. პოლიტიკური ისლამი ჩრდილო კავკასიაში // კავკასიის მაცნე, №15, 2006.
2. Сиамашвили Г. Религия в общественно-политической жизни Грузии // Центральная Азия и Кавказ, №6, 2003

3. Гаджиев К. Геополитика Кавказа. М.2001.

4. Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М.2006. с.84-86

5. Маркедонов С.М. Чечня: война как мир и мир, как война // Ксенофобия на Юге России, №6, 2008; с.91-113

სემინარი №10

1. საქართველო – რელიგიების გზაშესაყარი.

ლიტერატურა

1. ნ.პაპუაშვილი. საქართველო და მსოფლიო რელიგიები. თბ.2004, გვ.14-18

ცნებები:

ბიბლიური რელიგიები (ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ბაჰაიზმი). არაბიბლიური რელიგიები (ზოროასტრიზმი და იეზიდები, ინდუიზმი, ბუდიზმი, კონფუციანობა). კათოლიკეები და ქართველი კათოლიკეები, იეჰოვას მოწმეები, “დუხობორები” და “მალაკანები”.

ლექცია №11

1. კულტურისა და განათლების როლი ქსენოფობიის გადალახვასა და ხალხებს შორის ტოლერანტული ურთიერთობების დამყარების საქმეში.
2. ცენტრი-პერიფერიის პრობლემა საქართველოში.

ლიტერატურა

3. Розин М.Д. Сущий С.Я. Социально-этнические процессы в городской среде Северного Кавказа. Ростов/Д.2003. с.80-118
2. Кузнецов В.Н. Глобальная структурная гуманитарная революция 21 века // Роль идеологии в трансформационных процессах в России. Ростов/Д.2006; с.8-24

სემინარი №11

1. კულტურათა დიალოგის პრობლემები თანამედროვე კავკასიაში.
2. სახალხო დიპლომატიის როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაგალითზე).

ლიტერატურა

1. Малышева Д.Б. Россия и государства Закавказья в поисках устойчивой стабильности // Ксенофобия на Юге России, №6, 2008; с.10-25
2. Алиев А.К. Юсупова Г.И. миротворчество и народная дипломатия на Северном Кавказе. Махачкала, 2002; с.77-129

ლოგიკური დავალება

შეადარეთ ცნებები “რეგიონალიზმი” და “სეპარატიზმი”. დაამტკიცეთ, რომ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტუალიზდება მუსლიმანური ფაქტორი.

ლექცია №12

1. “ცენტრი-პერიფერიის” პრობლემა საქართველოში
2. ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების შესაძლო მოგვარების გზები.

ლიტერატურა

1. Грузия и Россия: трудный путь к примирению // Государство и безопасность под редакцией Бруно Коппитерса. с.183-200
2. Бруно Коппитерс. Модель «центр-периферия» грузинской безопасности // Государство и безопасность

სემინარი №12.

- ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ნაციონალიზმის თვალთახედვით.
- Тотадзе А. Осетины в Грузии Миф и реальность Тб.,2006

ლიტერატურა

- ზ.დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ.2003. გვ.406-436

ლექცია №13

- საქართველო-რუსეთის (ჩრდილო კავკასიის) ურთიერთობები. ინტეგრაცია/დეზინტეგრაციის პრობლემა პოსტსაბჭოთა პერიოდში.
- მიგრაციული ტენდენციები კავკასიაში: ეროვნულ-სოციალური განვითარების კრიზისი თუ გლობალიზაციის კანონზომიერება?

ლიტერატურა

- Квициани Д.Д. Грузино-российские отношения: проблемы и перспективы // Научная мысль Кавказа, №1, 1998
- Белозеров В.С. Русские на Кавказе: эволюция расселения // Русские на Северном Кавказе: вызовы 21 века. Ростов/Д.2002, с.56-80

სემინარი №13

- ქართველები ჩრდილო კავკასიაში. დიასპორის როლი კულტურათა დიალოგის საქმეში.
- რელიგიური ფაქტორის აქტუალიზაცია კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში

ლიტერატურა

- Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М.2006. с.105-109
- ჯ.კვიციანი, ი.კვიციანი. პოლიტიკური ისლამი ჩრდილო კავკასიაში // კავკასიის მაცნე, №15, 2006. გვ.178-183
- Добаев И.П. Немчина В.И. Новый терроризм в мире и на Юге России. Ростов/Д.2005, с.144-203

ლიტერატურა

- Квициани Д. и др. Грузины на Северном Кавказе // Энциклопедия культур народов Юга России. Ростов/Д.2005. с.85-87
- Хоперская Л.Л. Харченко В.А. Локальные межэтнические конфликты на Юге России 2000-2005. Ростов/Д.2005. с.42-52
- Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М.2006. с.100-105

ლექცია №14

საქართველო კავკასიის სოციოკულტურულ სივრცეში.

- საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის პრობლემები და მათი დაძლევის გზები.
- დემოკრატიზაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში.

ლიტერატურა

- ა.რონდელი. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბ.2003. გვ.215-234

ლექცია №15

კავკასია: განათლება და მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

ლიტერატურა

- საქართველო: “კანონი უმაღლესი განათლების შესახებ”.

2. ე.კობალიანი, ჯ.კვიციანი. კავკასია 20 საუკუნეში. თბ.2001
3. Квициани Д.Д. Подготовка специалистов в высшей школе в 60-80 годы: опыт и проблемы. На материалах Северного Кавказа. Ростов/Д.1990.
4. Шариф Азиз. История литературы народов СССР (Закавказье). М.1986

კოლოკიუმი №4

1. სსრკ დაშლა და კავკასია.

ლიტერატურა

1. ნ.ჩიქოვანი. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში. თბ.2005
2. Ханаху Р. и др. От традиционного менталитета к современному // Мир культуры адыгов. Майкоп, 20024 с.405-477
3. რ.მეტრეველი. კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ.2007.
5. ჯ.კვიციანი. კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში. თბ.2007
3. Давидович В.Е. Существует ли кавказская цивилизация? // Научная мысль Кавказа, №2, 2002

დავალება დამოუკიდებელ სამუშაოდ

დავალება №1

შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილები:

1. საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის (შუა საუკუნეები) ერთობლივი ბრძოლები სამხრეთ კავკასიის დამპყრობლების წინააღმდეგ.
2. რუსეთის მიერ კავკასიის კოლონიზაციის ეტაპები.
3. ჩრდილო კავკასიის ხალხების დეპორტაცია და რეაბილიტაცია.
4. კავკასიის ისტორიის პერიოდიზაცია უძველესი დროიდან დღემდე.

დავალება №2

შეადგინეთ პასუხების გეგმა – კონსპექტები შეკითხვებზე

1. “აღმოსავლური საკითხი” და კავკასია.
2. კაზაკების წარმოშობა
3. კავკასიის ომის ისტორიოგრაფია
4. მუჰაჯირობა
5. კავკასიის მოდერნიზაციის თავისებურებები 19 ს. მეორე ნახევარში – 20 ს. დასაწყისში
6. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ტენდენციები კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში
7. კონფლიქტები კავკასიაში

დავალება №3

გაეცით პასუხი, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა:

1. ბერძნულ კოლონიზაციას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში
2. ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელებას კავკასიაში
3. საქართველოს კულტურისა და პოლიტიკური გავლენის გავრცელებას 10-12 ს.ს. კავკასიაში

დავალება №4

გაეცით პასუხები, როგორი იყო მიზეზები:

1. პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების აღმოცენებისა კავკასიაში
2. თათარ-მონღოლთა ბატონობის კრახისა
3. სსრკ-გერმანიის ომში კავკასიაში გერმანელების დამარცხებისა

ჩატარდება პირველ და მეორე სემესტრში ოთხი კოლოკიუმი
 შეფასება: დასწრება - 5 ქულა (5%), პრეზენტაცია სემინარზე - 15 ქულა (15%), ორი
 კოლოკიუმი - 2x20=40 ქულა (40%), საბოლოო გამოცდა - 40 ქულა (40%). სულ - 100 ქულა
 (100%).

კურსის შესწავლის შედეგად მომავალ სპეციალისტს ეცოდინება კავკასიის ხალხთა ისტორია, კულტურა, რელიგია, რეგიონის რესპუბლიკების სახელმწიფო-პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემები, ეროვნულ-ეთნიკური შემადგენლობა, რეგიონის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, აგრეთვე კავკასიის საზოგადოებრივი (ინტეგრაციულ/დეზინტეგრაციული) განვითარების თავისებურებები და რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

2 0 0 9 - 2 0 1 0

სასწავლო კურსის დასახელება:	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
სასწავლო კურსის სტატუსი:	საგანი გათვალისწინებულია პუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის კავკასიოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის; კურსი სავალდებულოა.
სასწავლო კურსის	საგანი ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში.

სანგრძლივობა:	
ჩთშ	5 კრედიტი, 60 საკონტაქტო (30 ლექცია, 30 სემინარი), დამოუკიდებელი მუშაობისთვის 65სთ., სულ 125 საათი.
ლექტორი:	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ცირა ბარამიძე. ტელ.: 38 49 35; 895 26 41 10.
სასწავლო კურსის მიზანი:	„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ მიზნად ისახავს მოგვცეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის საკვანძო საკითხების ანალიზი და სათანადო ჩვენებათა ისტორიული ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინოს.
სასწავლო კურსის წინაპირობები:	საგნის შესწავლისათვის სტუდენტი უნდა იცნობდეს ცალკეულ იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა-სტრუქტურებს, მათ თავისებურებებს, განსაკუთრებით კი – ქართული ენისა; აგრეთვე, აფხაზური, ადიღური, ხუნძური, თაბასარანული, ჩეჩნური, უდიური, ლაკური ენებისა.
სასწავლო კურსის ფორმატი:	ლექცია, სემინარი, კოლოკვიუმი.
სასწავლო კურსის შინაარსი:	
1.	<p style="text-align: center;">ლექცია № 1 (2სთ)</p> <p>იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიზანი და ამოცანები; იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ახლანდელი ვითარება; იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად ხმარებული ტერმინები; იბერიულ-კავკასიურ ენათა დაჯგუფება და საამისო საფუძვლები.</p> <p style="text-align: center;">ლიტერატურა:</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 7-12; 23-25</p> <p>ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937, შესავალი</p>

Иберийско-кавказские языки – სერიაში «Языки народов СССР». т. IV. М., გვ.
712

სემინარი № 1 (2სთ.)

2.

ლექცია № 2 (2სთ)

იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ზოგადი ტიპოლოგიური
დახასიათება;

იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა აშუამად და ძველად.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ.
37-42

სემინარი № 2 (2სთ.)

3.

ლექცია № 3 (2სთ)

ხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში;

იბერიულ-კავკასიურ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ.
42-52 გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962.
გვ. 11-40.

К. Ломтатидзе, Абхаз. яз., М. Кумахов, Убых. яз., М. Кумахов, Адыг. яз., А.
Шагиров, Кабард. яз., З. Абдуллаев, Дарг. яз., Г. Мурколинский, Лак. яз., У.
Майланова, Лезг. яз., Б. Ханмогамедов, Табасаран. яз., А. Магомедов, Агульский
яз., Т. Гудава, Ботлих. яз., Т. Гудава, Годобер. яз., З. Магомедбекова, Карат. яз.,
З. Магомедбекова, Чамал. яз., З. Магомедбекова, Ахвах. яз., И. Церцвадзе, Анд.
яз., Т. Гудава, Багвал. яз., Т. Гудава, Тинд. яз., Е. Бокарев, Г. Мадиева, Бежит.
яз., Е. Бокарев, Хварм. яз., Б. Талибов, Цах. яз., Ш. Саадиев, Крыз. яз., Ю.
Дешериев, Будух. яз., С. Хайдаков, Арч. яз., Е. Джейранишвили, Уд. яз., Ю.
Дешериев, Хиналуг. яз., Ю. Дешериев, Чечен. яз., Р. Долакова, Ингуш. яз., Ю.
Дешериев, Бацб. яз. – კრებულში «Иберийско-кавказские языки» Языки народов

ССР.

სემინარი № 3 (2სთ.)

4.

ლექცია № 4 (2სთ)

თანხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში;
თანხმოვანთა სხვა სპეციფიკურ სერიათა საკითხისათვის იბერიულ-კავკასიურ
ენებში;
კონსონანტიზმის განვითარების ზოგადი ტენდენციები იბერიულ-კავკასიურ
ენებში;
კონსონანტიზმის ამოსავალი რთული სისტემის ვარაუდი.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ.
52-73

К. Ломтатидзе, Абхаз. яз., М. Кумахов, Убых. яз., М. Кумахов, Адыг. яз., А.
Шагиров, Кабард. яз., З. Абдуллаев, Дарг. яз., Г. Мурколинский, Лак. яз., У.
Майланова, Лезг. яз., Б. Ханмогамедов, Табасаран. яз., А. Магометов, Агульский
яз., Т. Гудава, Ботлих. яз., Т. Гудава, Годобер. яз., З. Магомедбекова, Карат. яз.,
З. Магомедбекова, Чамал. яз., З. Магомедбекова, Ахвах. яз., И. Церцвадзе, Анд.
яз., Т. Гудава, Багвал. яз., Т. Гудава, Тинд. яз., Е. Бокарев, Г. Мадиева, Бежит.
яз., Е. Бокарев, Хварм. яз., Б. Талибов, Цах. яз., Ш. Саадиев, Крыз. яз., Ю.
Дешериев, Будух. яз., С. Хайдаков, Арч. яз., Е. Джейранишвили, Уд. яз., Ю.
Дешериев, Хиналуг. яз., Ю. Дешериев, Чечен. яз., Р. Долакова, Ингуш. яз., Ю.
Дешериев, Бацб. яз. – კრებულში «Иберийско-кавказские языки» Языки народов
ССР.

სემინარი № 4 (2სთ.)

5.

ლექცია № 5 (2სთ)

ბგერათა ცვლის კანონზომიერების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ
ენებში;
შესატყვისობის ერთი მაგალითი დადესტნურ ენებში.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 75-80

არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
ილ ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუსური დიალექტი, იკე, II, 1948.
„დაღესტნურ ენათა ისტორიულ-შედრებითი ლექსიკა“, 1971 (ს. ჰასანოვა, კ. იბრაგიმოვი, ფ. მაჰომედოვა, უ. მეილანოვა, ბ. თალიბოვი – პროფ. კ. მურკელინსკის რედაქციით).

სემინარი № 5 (2სთ.)

6.

ლექცია № 6 (2სთ)

მორფოლოგიის ძირითადი პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში;

ა) გრამატიკული კლას-კატეგორია, გრამატიკული სქესი და სახელთა სხვაგვარი დაჯგუფებანი;

ბ) სახელთა გრამატიკული კლასების გარჩევის საშუალება;

გ) გრამატიკული კლასების მქონე და არმქონე იბერიულ-კავკასიური ენები;

დ) გრამატიკული კლასების რაოდენობა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 86-90

სემინარი № 6 (2სთ.)

7.

ლექცია № 7 (2სთ)

ა) ფონეტიკური ცვლილებები გრამატიკულ კლასთა ნიშნებში;

ბ) გრამატიკული კლასების საკითხი მრავლობითში.

გ) მრავლობითის ვითარება და გრამატიკული კლასების რაოდენობის საკითხი;

დ) მრავლობითში გრამატიკულ კლასთა უნიფიკაციისა და ბიფურიკაციის ისტორიული აზრი.

ე) გრამატიკული კლას-კატეგორიის რაობისა და ისტორიის ძირითადი საკითხები

იბერიულ-კავკასიურ ენებში;

ვ) გრამატიკული კლასების აღნიშვნა სუბსტანტივებში.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 97-118

У. Мейланова. Об отраж. катег. грамм. классов в дагест. языках, Уч. зап. Инст. Ист., Яз. и Лит. Имени Г. Цадаса, XIII, 1964.

სემინარი № 7 (2სთ.)

8.

ლექცია № 8 (2სთ)

ა) გრამატიკული კლასების ისტორიისათვის დადესტნურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში;

ბ) გრამატიკული კლასების საკითხი ქართველურ ენებში.

გ) ნივთის კატეგორიის ფორმანტთა ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში;
დ) კლასი და სქესი (კატეგორიები).

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 116-134

ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937.

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

К. В. Ломтатидзе, Абх. яз., ИКЯ-ки, З. Магометбекова, Карат. яз., ИКЯ-ки, მისივე, Абхаз. яз., ИКЯ-ки, Т. Гудава, Багвалик яз., ИКЯ-ки, მისივე, Тинд. яз., ИКЯ-ки, И. Церцвадзе, Анд. яз., ИКЯ-ки.

არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, სმამ, ტ. V (1944).

სემინარი № 8 (2სთ.)

9.

ლექცია № 9 (2სთ)

სახელის მორფოლოგია: ბრუნვის კატეგორია, ბრუნვათა შედგენილობა

დაბრუნების პროცესი.

ბრუნვის ფორმები და გრამატიკული კლასები.
ორფუძიანი ბრუნების პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში.
თანდებუდიანი ბრუნვები ქართულში;
თანდებუდიანი ბრუნვები მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ.
134-162

ავტორები კრებულიდან ИКЯ-ки, თინა შარაშენიძე, ორფუძიანობის ერთი
ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, „ქართველურ ენათა
სტრუქტურის საკითხები“, II, 1961. ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღურის
(ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, „შრომები“, III, 1959.

არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962
სემინარი № 9 (2სთ.)

10.

ლექცია № 10 (2სთ)

ზმნის კატეგორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში
უღვლილების ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში.

- ა) პიროვანი უღვლილება: სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური;
- ბ) კლასებისა და პირების გაურჩევლობა ლეზგიურისა და ადიღურის
ზმნაში.

- გ) უღვლილების ტიპების ისტორიული ურთიერთობა;
- დ) პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ
ენებში.

ლიტერატურა:

არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ.
162-178

არნ. ჩიქობავა, Основные типы спряжения глаголов и их истор.
взаимоотношения в ибер.-кавказ. языках. М., 1960.
ნოდ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი
საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1968,

სემინარი № 10 (2სთ.)

<p>11.</p>	<p>ლექცია № 11 (2სთ)</p> <p>ა) სინტაგმა (შესიტყვება) და მისი ძირითადი ტიპი: ატრიბუტული და პრედიკატული.</p> <p>ბ) ატრიბუტული კომპლექსების კომპონენტთა თანმიმდევრობის საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში.</p> <p>გ) პრედიკატულ სინტაგმათა ძირითადი ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში.</p> <p>დ) პრედიკატული სინტაგმები და შესაბამისი ზმნები.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 185-197</p> <p>სემინარი № 11 (2სთ.)</p>	
<p>12.</p>	<p>ლექცია № 12 (2სთ)</p> <p>ერგატიული კონსტრუქციის კომპონენტები, გარდამავალი ზმნის თავისებურების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ზოგადად.</p> <p>პ. უსლარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ (ნახურსა და დაღესტნურ ენებში).</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 197-201</p> <p>სემინარი № 12 (2სთ.)</p>	
<p>13.</p>	<p>ლექცია № 13 (2სთ)</p> <p>პ. შუხარდტი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში.</p> <p>ნიკო მარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ ქართულში.</p> <p>აღფ. ტრომბეტი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ.</p> <p>ად. დირი გარდამავალი ზმნის შესახებ.</p> <p>პ. უსლარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ ნახურსა და დაღესტნურ ენებში</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 208-241; 218; 242.</p> <p>სემინარი № 13 (2სთ.)</p>	

14.	<p style="text-align: center;">ლექცია № 14 (2სთ)</p> <p style="text-align: center;">გარდამავალი ზმნა და გვარის კატეგორია, გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია გვართა დაპირისპირების პირობებში</p> <p style="text-align: center;">ობიექტი, სუბიექტი და უგვარებო გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში</p> <p style="text-align: center;">ივანე მეშჩანინოვი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ</p> <p style="text-align: center;">ლიტერატურა:</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 244-247; 226-232</p> <p>არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948;</p> <p>არნ. ჩიქობავა, ჭანური ენის გრამატიკული ანალიზი, 1936.</p> <p>არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიის ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიენტები, ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942</p> <p style="text-align: center;">სემინარი № 14 (2სთ.)</p>	
15.	<p style="text-align: center;">ლექცია № 15 (2სთ)</p> <p style="text-align: center;">ზოგადი დასკვნა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ</p> <p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 257-305</p> <p style="text-align: center;">ლიტერატურა:</p> <p style="text-align: center;">სემინარი № 15 (2სთ.)</p>	
სავალდებულო ლიტერატურა:		
<p>არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, სალექციო ჩანაწერები (სპეციალური სალექციო კურსი).</p> <p>ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937, შესავალი</p> <p>გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962.</p> <p>არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.</p> <p>ილ ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე, II, 1948.</p> <p>„დადესტნურ ენათა ისტორიულ-შედრებითი ლექსიკა“, 1971 (ს. ჰასანოვა, კ.</p>		

ობრაგიმოვი, ფ. მაჰომედოვა, უ. მეილანოვა, ბ. თალიბოვი – პროფ. ჰ. მურკელინსკის რედაქციით).

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ნოდ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1968,

არნ. ჩიქობავა, Основные типы спряжения глаголов и их истор. взаимоотношения в ибер.-кавказ. языках. М., 1960.

მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები თბ., 2007

მ. ჩუხუა იბერიულ-ინქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა თბ., 2008

<p>დამატებითი ლიტერატურა:</p>	<p>Иберийско-кавказские языки _ seriaSi «Языки народов СССР». т. IV. М.</p> <p>К. Ломтатидзе, Абхаз. яз., М. Кумахов, Убых. яз., М. Кумахов, Адыг. яз., А. Шагиров, Кабард. яз., З. Абдуллаев, Дарг. яз., Г. Мурколинский, Лак. яз., У. Майланова, Лезг. яз., Б. Ханмогамедов, Табасаран. яз., А. Магомедов, Агульский яз., Т. Гудава, Ботлих. яз., Т. Гудава, Годобер. яз., З. Магомедбекова, Карат. яз., З. Магомедбекова, Чамал. яз., З. Магомедбекова, Ахвах. яз., И. Церцвадзе, Анд. яз., Т. Гудава, Багвал. яз., Т. Гудава, Тинд. яз., Е. Бокарев, Г. Мадиева, Бежит. яз., Е. Бокарев, Хварм. яз., Б. Галибов, Цах. яз., Ш. Саадиев, Крыз. яз., Ю. Дешериев, Будух. яз., С. Хайдаков, Арч. яз., Е. Джейранишвили, Уд. яз., Ю. Дешериев, Хиналуг. яз., Ю. Дешериев, Чечен. яз., Р. Долакова, Ингуш. яз., Ю. Дешериев, Бацб. яз. _ krebulSi «Иберийско-кавказские языки» Языки народов ССР.</p> <p>У. Мейланова. Об отраж. катег. грамм. классов в дагест. языках, Уч. зап. Инст. Ист., Яз. и Лит. Имени Г. Цадаса, XIII, 1964.</p>	
<p>შეფასება</p>	<p>სტუდენტის ცოდნა შეფასდება ზეპირი და წერიტი გამოცდით. კურსის განმავლობაში ჩატარდება ორი კოლოკიუმი (თითოეული 20 ქულა), სტუდენტის ცოდნის საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები</p>	
	<p>ლექციებზე დასწრება</p>	<p>5%</p>

	სემინარი	15%
	კოლოკვიმები	20%+
	გამოცდა – ზეპირი, წერითი	20%
		40%
სწავლის შედეგები	აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი კარგად გაერკვევა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა-სტრუქტურის პრობლემურ საკითხებში, შემზადებულია ამ ენათა მეცნიერული კვლევისათვის.	

ს ი ლ ა ბ უ ს ი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სასწავლო კურსის დასახელება	ქართული ენის გრამატიკა (მოკლე კურსი)
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	სასწავლო კურსი განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. სავალდებულო
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	სასწავლო კურსი წაიკითხება ერთი სემესტრის განმავლობაში
ECTS	საგანი 5-კრედიტიანია: საკონტაქტო –90 სთ დამოუკიდებელი – 35 სთ
ლექტორი	ლეილა გეგუჩაძე, ასოც. პროფესორი ტელ.: 899178775; 30.04.85
სასწავლო კურსი მიზანი	კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის სისტემისა და სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლებას. სტუდენტები შეისწავლიან ძირითად ფონეტიკურ პროცესებს, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხებს. საგანგებო ყურადღება მიექცევა სახელისა და ზმნის ძირითადი კატეგორიების გააზრებულ შესწავლას, იმ სპეციფიკურ ვითარებას,

	რომელიც არსებობს ქართულში წინადადების სინტაქსურ მექანიზმთან დაკავშირებით (სუბორდინაცია-კოორდინაციის საკითხები). კურსის მიზანია, სტუდენტს გაუღრმავოს აზროვნებისა და ანალიზის ჩვევები, გამოუმუშაოს კრიტიკული დამოკიდებულება როგორც ტრადიციით დამკვიდრებული, ისე – ახლებური მიდგომების მიმართ.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ენათმეცნიერების შესწავლის კურსი.
სასწავლო კურსის ფორმატი	კურსის შესწავლის პროცესში გამოყენებული იქნება სწავლების სხვადასხვა ფორმა: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კოლოკვიუმები...
სასწავლო კურსის შინაარსი	
№1 ლექცია 2 სთ.	ქართული ენა – ქართველი ერის ერთიანი საერთო ენა. ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ენათა შორის. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურები (პერიოდიზაცია). ქართული დამწერლობის წარმოშობა და ანბანის განვითარების საფეხურები. ქართული დამწერლობის წარმოშობა და ანბანის განვითარების საფეხურები. უძველესი წარწერები და წერილობითი ძეგლები. ქართული ენის კურსის შინაარსი, სასწავლო კურსში შემავალი ენათმეცნიერების დარგები: ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის საკითხები. ლიტერატურა: ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 14-27; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი პირველი, გვ. 3-14; 18-26.
სემინარი 2 სთ პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ	
№ 2 ლექცია 2 სთ	თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკური შედგენილობა. ხმოვნები, თანხმოვნები. ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართულში. ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 7-30; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. I, გვ. 40-43.
სემინარი 2 სთ პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ	
№ 3 ლექცია 2 სთ	სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი. სიტყვის შედგენილობა: ძირი, ფუძე, მორფემა (აფიქსები). აფიქსთა

	<p>კლასიფიკაცია.</p> <p>მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. სახელთა ბრუნების ტიპები, თავისებურებანი. თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ 33-44; 69-72; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მეორე, გვ. 23-29; 71-74.</p>
<p>სემინარი 2 სთ</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 4 ლექცია 2 სთ	<p>მსაზღვრელ-საზღვრული: რაობა, სახეები, ბრუნება, თავისებურებანი. სახელთა წარმოქმნა. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. თხზვა. კომპოზიციები ფორმისა და აგებულების მიხედვით. მართლწერის საკითხები.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 8-94; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მეორე, გვ. 77-91.</p>
<p>სემინარი 2 სთ</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 5 ლექცია 2 სთ	<p>ზმნა: პირიანობა და ვალენტობა. სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნები მხოლობითსა და მრავლობითში. ინვერსია. “თავისთავადი ინვერსიული ზმნები” ქართულში.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 185; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მესამე, გვ. 3-29.</p>
<p>სემინარი 2 სთ</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 6 ლექცია 2 სთ	<p>ღრო – აბსოლუტური და რელატიური. კილო – რაობა, სახეები. ზმნისწინი და მისი ფუნქციები. ზმნისწინები ძველი სახით ახალ ქართულში. გეზის, ორიენტაციის, ასპექტის კატეგორიები.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 198-209; 238-249; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მესამე, გვ. 29-44.</p>
<p>სემინარი 2 სთ</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 7 ლექცია 2 სთ	<p>გარდამავლობა და მისი მახასიათებლები. გარდამავლობა და გვარი. კონვერსიის საკითხი. ვნებითი გვარი. დინამიკა და სტატისტიკა. ვნებითის ნიშნები. მედიოაქტივი და მედიოპასივი.</p>

	<p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 323-333; 339-346; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მესამე. გვ. 85-103.</p>
<p>სემინარი 2 სთ პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 8 ლექცია 2 სთ	<p>ქცევა: რაობა, სახეები, ნიშნები. ქცევა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში. კონტაქტი: რაობა, სახეები. შუა-ლობითი კონტაქტის წარმოება. მართლწერის საკითხები.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 323-333; 339-340; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მესამე. გვ. 85-103.</p>
<p>სემინარი 2 სთ პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ</p>	
№ 9 ლექცია 2 სთ	<p>სერიები და მწკრივები: წარმოება, ფუნქციები. ზმნის თემა, თემის ნიშნები; მწკრივის ფუძე. ძირი. ერთ-, ორ- და სამგალენტიან ზმნათა უღლება. უღლების ტიპები. დეფექტური ზმნები. მართლწერის საკითხები.</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ 215-225; 500-520; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მესამე. გვ. 44-69; 103-190.</p>
№10 ლექცია 2 სთ.	<p>სახელზმნა: საწყისი, მიმდებარეობა – რაობა, წარმოება. უდეტრები (ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული)</p> <p>ლიტერატურა: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 557-564; 567-581; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. მეოთხე, გვ. 3-30; 32-68.</p>
<p>სემინარი 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ. კოლოქვიუმი 2 სთ.</p>	
№11 ლექცია 2 სთ	<p>სინტაქსის საგანი, მიზანი. სინტაქსური წყვილი (სინტაგმა). სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება, მართვა (ცალმხრივი, საურთიერთო, შუა-ლობითი). სუბორდინაცია და კოორდინაცია. კოორდინატები (დიდი, მცირე, უმცირესი – ძვ. ქართულში); მირთვა.</p> <p>ლიტერატურა: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., თბ., 1977. გვ. 8-29; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 210-224; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი</p>

	მეხუთე, გვ. 3-25.
სემინარი 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ.	
№12 ლექცია 2 სთ	<p>წინადადება: რაობა, სახეები (მოდალობისა და აგებულების მიხედვით). მარტივი წინადადება. წინადადების წევრები ფუნქციის (დანიშნულების) თვალსაზრისით. წინადადების მთავარი წევრები: შემასმენელი (მარტივი, შედგენილი); ქვემდებარე, დამატება-ობიექტები. მათი სინტაქსური ურთიერთობა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან.</p> <p>ლიტერატურა: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 49-84; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 224-227; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეექვსე, გვ. 3-64.</p>
სემინარი პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ.	
№13 ლექცია 2 სთ	<p>წინადადების არამთავარი წევრები: უბრალო დამატება, განსაზღვრება (ატრიბუტული და სუბსტანტიური), გარემოებანი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის). არამთავარ წევრთა სინტაქსური ურთიერთობა სინტაგმის წევრთან.</p> <p>ლიტერატურა: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 64-150; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეექვსე, გვ. 29048.</p>
სემინარი 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ.	
№14 ლექცია 2 სთ.	<p>შერწყმული წინადადება. ერთგვარი წევრის რაობა. შეერთების საშუალებანი. შერწყმული წინადადების ტიპები. განმაზოგადებელი სიტყვა შერწყმულ წინადადებაში. მართლწერის საკითხები.</p> <p>სიტყვათა რიგის საკითხი ქართულში. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. მართლწერის საკითხები.</p> <p>ლიტერატურა: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 222-227; 229-255; 213-222; 256-279; 281-300; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეშვიდე, გვ. 3-50; 51-78.</p>
სემინარი 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ.	
№15 ლექცია 2სთ.	<p>რთული წინადადება: რაობა, სახეები. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი). კომპონენტთა</p>

	<p style="text-align: center;">შეერთების საშუალებანი.</p> <p>რთული თანწყობილი წინადადება. კომპონენტთა აზრობრივი მიმართება. რთული ქვეწყობილი წინადადება. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სახეები. ამოცნობის საშუალებანი. რთულის მარტივით შენაცვლების წესები.</p> <p>რთული სინტაქსური კონსტრუქციები: თანადა-ქვემდებარება და თანამიმდევრული დაქვემდებარება. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. პუნქტუაციის საკითხები.</p> <p>ლიტერატურა: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 301-303; 306-309; 311-332; 338-395; 400-413; 418-431; 440-447; ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეშვიდე; გვ. 78-87; 88-139; 143-160; 163-179; 180-196.</p>	
<p>სემინარი 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, 2 სთ. კოლოკვიუმი 2 სთ.</p>		
<p>კრედიტების მინიჭების წინაპირობა</p>	<p>კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში სტუდენტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის საშუალება კურსის გავლის გარეშე. 40 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიმეოროს კურსი. გამოცდაზე 21 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად.</p>	
<p>შეფასება</p> <p>კრიტერიუმთა ხვედრითი წილი</p>	<p>საშუალოდ შემოწმების მიზნით ჩატარდება საკონტროლო წერები და კოლოკვიუმები. საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც ლექციებზე დასწრება, ასევე სტუდენტის აქტიურობა სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. შეფასებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქნება შუალედური შემოწმებისა და კოლოკვიუმების შედეგებს.</p> <p style="text-align: center;">ლექციებზე დასწრება – 10%</p> <p style="text-align: center;">სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა – 20%</p> <p style="text-align: center;">შუალედური შემოწმება, კოლოკვიუმები – 30% (15+15)</p> <p style="text-align: center;">გამოცდა – 40%</p> <p style="text-align: center;">საბოლოო შეფასება – 100%</p>	

<p>გამოცდაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ლექციებზე დასწრების, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობის, შუალედური შემოწმების, კოლოკვიუმის შედეგების გათვალისწინებით სტუდენტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 11 ქულისა</p>
<p>ძირითადი ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1979. 2. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977. 3. ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.
<p>დამატებითი ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I ტ. 1950; იხ. ასევე. გამომც. „ქართული ენა“, თბ., 1998. 2. ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთები I,II,III-IV, თბ., 2000. 3. ა. დავითიანი, ქართულ ენის სინტაქსი, თბ., 1973. 4. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწ. I (1997 წ.), ნაწ. II (1999 წ.), ნაწ. III (2001 წ.), ნაწ. IV (2003 წ.), ნაწ. V (2005 წ.), ნაწ. VI (2007 წ.), ნაწ. VII (2009 წ.). 5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986.
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი კარგად უნდა ერკვეოდეს ქართული ენის გრამატიკის საკვანძო საკითხებში, უნდა შეძლოს სიტყვათა როგორც მორფოლოგიური, ასევე წინადადების წევრების სინტაქსურ ურთიერთობათა ანალიზი, რაც დაეხმარება მას სხვა ენების გააზრებულად შესწავლასა და, საერთოდ, პროფესიის ღრმად დაუფლებაში</p>

სილაბუსი

2009-2010 სასწ. წელი

სასწავლო კურსის

**კავკასიის ხალხთა ფოლკლორი
დასახელება**

სასწავლო კურსის

კოდი

სასწავლო კურსის
სტატუსი

სავალდებულო საგანი, გათვალისწინებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

ECTS

კრედიტების რაოდენობა – 5.

საკონტაქტო საათების რაოდენობა – 45 სთ.

(30 სთ. – ლექცია. 15 სთ. – სემინარი).

დანარჩენი გათვალისწინებულია სტუდენტის
დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

ლექტორი

ხეთისო მამისიმედიშვილი, თსუ ასოცირებული
პროფესორი, ტელეფონი: 78-01-50 (ბინა).

მობილური 8(99) 21-41-34.

ელ. ფოსტა: khvtiso2@yahoo.com.

სასწავლო კურსის

მიზანი

კურსი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, მიაწოდოს
სტუდენტს თეორიული ცოდნა ფოლკლორის,
როგორც სიტყვიერი შემოქმედების განსაკუთრე-
ბული ფორმის შესახებ, მისი არსებითი,
ლიტერატურისგან განსხვავებული ნიშნებისა და
ფუნქციების ანალიზის მეშვეობით, მეორე მხრივ,
გააცნოს კავკასიის ხალხთა ფოლკლორის
ჟანრობრივი შემადგენლობა (კონკრეტული
ტექსტების მიხედვით).

სასწავლო კურსის

აუცილებელია ზოგადი განათლება.
შესწავლის წინაპირობა

სასწავლო კურსის ფორმატი

2 ლექცია, 1 სემინარი, შუალედური

შემოწმებები, საბოლოო გამოცდა. ყოველი

ლექციის მასალა განიხილება სემინარულ

მეცადინეობებზე.

გამოცდაზე დაშვების
წინაპირობა

გამოცდაზე გასვლამდე სტუდენტს
დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 11 ქ.

შეფასება

ლექციებზე დასწრება–10%.

სემინარი–20%.

კოლოკვიუმი–15%+15%.

გამოცდა–40%.

საბოლოო შეფასება–100%.

სასწავლო კურსის შინაარსი

1. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ზოგადი ცნობები კავკასიისა და კავკასიის ხალხების შესახებ. კავკასიის ეთნიკური და ნგვისტური რუკა. ტერმინი *ფოლკლორი (folk-lore)*; განმარტება; ვინ არის *ფოლკ* (ხალხი) და რა არის *ლორ* (ცოდნა).

ლიტერატურა: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 3-7. ხ. მამისიმედიშვილი., I ლექცია, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, ელექტრონული ვერსია.

2. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

დკლორული შემოქმედების არსებითი ნიშნები და თავისებურებანი: ა) ზეპირი შემოქმედება და რი გავრცელება, ბ) ვარიანტულობა, ტექსტის ცვალებადობა დროსა და სივრცეში (მიზეზები), ე) იმპრობა; ავტორობის საკითხი, დ) კოლექტიურობა: ხალხური შემოქმედების ტიპი, ე) ტრადიცია ნოვაცია, ვ) სინკრეტიზმი, ზ) ყოფითობა (ფოლკლორის ადგილი და ფუნქცია ხალხის ყოფაში). ფოლკლორი და ლიტერატურა: საერთო და განსხვავება. **ლიტერატურა:** ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 7-13. ხ. მამისიმედიშვილი., II ლექცია, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, გვ. 7-14;

3. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორის უანრული სისტემა და თავისებურება. კავკასიის ხალხთა ფოლკლორის საგანი.

ლიტერატურა: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 15-20. ხ. მამისიმედიშვილი., II ლექცია, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, ელექტრონული ვერსია, გვ. 13-15;

4. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ფლოგია. მითოლოგიები. ძირითადი მითოლოგიური მოტივები და სიუჟეტები კავკასიის ხალხთა პირსიტყვიერებაში. მითური ხალხები კავკასიის ხალხთა ზეპირ ტექსტებში: აწანები აფხაზურ რსში; ბიცენტები ოსურ ნართებში. წარღვის მითოსი და რიწის ტბის თქმულება. კოსმოგონიური ივი კავკასიის ხალხთა მითოსში (ვაჰაგანის დაბადება, გველეშაპთან ბრძოლა). ღვთაებები. მითის განმარტება მ. ელიადესა და ზ. კიკნაძის მიხედვით.

ერატურა: ზ. კიკნაძე, ლექციების კურსი „შედარებით მითოლოგიაში“, ელექტრონული ვერსია, გვ. 1-15. ხ. სისიმედიშვილი., ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კონსპექტი, გვ. 15-26. **ტექსტები:** ულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ., 2008. გვ. 697. გვ.217. 218-219.

5. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ი: ზოგადი მიმოხილვა, დეფინიციები. ეპოსის ტიპები. ესქატოლოგიური ეპოსი – ჯადოსნური ზღაპარი. მისი სტრუქტურა და საზრისი. ჯადოსნური ზღაპრის დასაწყისი და სასრული ფორმულები; ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა; ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟები ნქციების მიხედვით; რით იმარჯვებს ზღაპრის გმირი? ჯადოსნური ზღაპრის დრო და სივრცე; ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირის ვინაობა. ზღაპრის სპეციფიკა კავკასიის ხალხთა ვოლკლორში. სიუჟეტები კავკასიის ხალხთა ზღაპრებში. ეროვნული და ინტერნაციონალური ზღაპრებში.

ტერატურა: ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2001. გვ. 7-10. ხ. მამისიმედიშვილი., ლექციების ი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კონსპექტი, გვ. 26-34. ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2006. ვ. 34-44. ხ. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988. გვ. 227-267. А. И. Алиева., Поэтика и стиль волшебных сказок адыгских народов, М. 1986.

6. ლექცია 2 სთ. სტუდენტთა ცოდნის შუალედური შემოწმება (წერა). 1 სთ.

ართების ეპოსის გავრცელება. ციკლები და ვერსიები. ნართების ეპოსის გენეზისი. ნართების საზოგადოება. მათი საქმიანობა.

ლიტერატურა: ხ. მამისიმედიშვილი., ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, სპექტი, გვ. 34-42. **ტექსტები:** ამბავი ნართებისა (აფხაზური ხალხური ეპოსი), თარგმანი გიორგი ქანიძისა და ჯემალ აჯიაშვილის, თბ., 2007. ნართები, ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, ვალი, 1988. **დამხმარე ლიტერატურა:** Нарты, Кабардинский эпос, 2 изд. М. 1957. Ж. Дюмезиль., Осетинский эпос и мифология, М., 1976. У. Б. Далгат., Героический эпос чеченцев и ингушей, М. 1972. ს. ზუხბა., აფხაზური ისტიყვიერება, თბ., 1988. ნ. ანთელავა., აფხაზური ენციკლოპედია (მითები, რიტუალები, სიმბოლოები), თბ., 2006.

7. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ი ნართების ეპოსის პერსონაჟები. რიტუალური გადასვლები: დაბადების, წრობის, ბრძოლებისა არდაცვალების ეპიზოდები. ვარხაგი და მისი ვაჟები; ურუზმაგი და სათანა; სოსლანი; სირდონი; ცი და ბათრაძი; სოსლანის მოგზაურობა საიქიოში; სოსლანის მზიური ნიშნები; სკვითების წეს-ჩვეულებები და ნართები.

ერატურა: ვ. აბავეი, ოსთა ნართული ეპოსი, წინასიტყვაობა წიგნისა „ნართები“, ცხინვალი, 1988. გვ. 5-35. **ექსტი:** ნართები, ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, ცხინვალი, 1988. **დამხმარე ლიტერატურა:** Ж. Дюмезиль., Осетинский эпос и мифология, М., 1976. გვ. 19-34

8. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

აზური ნართების ეპოსი. სტრუქტურა. ძირითადი ეპიზოდების ანალიზი. პერსონაჟები: სათანე-ქაშა, სასრიყვა, კუნი, ცვიცვი, ქეთუანი, მზეთუნახავი გუნდა, ასნი ძმანი ნართები, ნართები და ირგები, აირგების ასული, ალხუზი, ელდიზ შარუანი, ხუაჟვარფისი, ნარჯხიოუ. რიტუალური გადასვლები. ლაშქრობები. ცივილიზაციის საწყისების შემოტანა აფხაზური ნართების ეპოსის მიხედვით. ქალის როლი ნართების საზოგადოებაში.

იტერატურა: ს. ზუხბა., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, (ქართულ ენაზე თარგმნეს თ. გვანცელაძემ და ა. ბულმა, თბ., 1988. გვ. 301-331. **ტექსტი:** ამბავი ნართებისა (აფხაზური ხალხური ეპოსი), თარგმანი გიორგი ბაქანიძისა და ჯემალ აჯიაშვილის, თბ., 2007. **დამხმარე ლიტერატურა:** ნ. ანთელავა., აფხაზური ენციკლოპედია (მითები, რიტუალები, სიმბოლოები), თბ., 2006.

ქცია 2 სთ. სემინარი 2 სთ. ტრაგიკული ეპოსი – „ამირანიანი“. ძირითადი ეპიზოდების ანალიზი; ამირანის ეპოსის საზრისი.

იტერატურა: ზ. კიკნაძე., ქართული ფოლკლორი, თბ. 2006. გვ. 50-59. **ტექსტი:** მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თსუ, 1947; **დამხმარე ლიტერატურა:** ზ. კიკნაძე., ქართული ხალხური ეპოსი, 2001, გვ. 11-55;

10. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ერთან მებრძოლი გმირები კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ჰუბრისი. მიჯაჭვის მოტივები და იჯაჭვული გმირები: ამირანი, არამხუტუ, აფხაზური აბრსკილი, ნართი ნასირენ-ჟაჩე აღიდეურ ლკლორში, ფჰარმათი ჩეჩნურ თქმულებაში. ღმერთთან მებრძოლი ბათრაძი და მისი სიკვდილი; ის ტრაგედია დავით სასუნცის ეპოსში. ამირანის როგორც ეპიკური გმირის მიმართება კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ღმერთთან მებრძოლ გმირებთან. მსგავსება, განსხვავება.

რატურა: ზ. კიკნაძე., ქართული ხალხური ეპოსი, 2001, გვ. 38-44. ხ. მამისიმედიშვილი., ნართების ჰუბრისი, ლექტრონული ვერსია. **ტექსტები:** კრებულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური ღი“, თბ., 2008. გვ. 223-228. გვ. 397-402. დავით სასუნცის ეპოსი, თბ., 1939. Нарты, Адыгейский народный эпос, "Наука", М.1974. გვ. 273-274.

11. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ოსავლური დასთანები. ქოროდლის აზერბაიჯანული ეპოსი. გავრცელება. ქოროდლის ეპოსის იები. სტრუქტურა. შედგენილობა. მიმართება ისტორიასთან. ქოროდლის ეპოსი და საქართველო. **ტერატურა:** ლ. ჩლაიძე, კავკასიური ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 203-216. **ტექსტი:** აზერბაიჯანული ეპოსი, ქოროდლი, I, II, თარგმნა ზ. მედულაშვილმა, თბ., 2003.

12. ლექცია 2 სთ. სტუდენტთა ცოდნის შუალედური შემოწმება (წერა). 2 სთ.

კასიის ხალხთა შრომის ლექს-სიმღერები. შრომა – ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილება.

შრომა და რიტმი. არქანჯელო ლამბერტი კოლხური ნადის შესახებ. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. გუთანი, ხარი და გუთნისდედა კავკასიის ხალხთა შრომის სიმღერებში. პირველი ხნულის გავლებასთან დაკავშირებული სიმღერები (ადიღური სიმღერა თხაგალეჟი). სომხური „ჰოროველ“ და ქართული „ოროველა“. თესვის ოსური სიმღერა „ხორკილა“. მკაში სამღერი ტექსტები. ქართული მთიბლურები. ნაბდის მთელავთა სიმღერა (ოსური „ონაი“).

ერატურა: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ. 2006. გვ. 101-114); ლ. ჩლაიძე, კავკასიური ფოლკლორი, 2006. გვ. 29-39. **ტექსტები:** კრებულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ., 2008. გვ. 142-143. 205. 421. გვ. 710-711. 752. 756-758.

13. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ქორიული მოვლენების ასახვა კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ბალადები. ჩეჩნური „ილლი“. ქორიულ მოვლენათა უკუფენა-ასახვა ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში. შამილი კავკასიელ ხალხთა ფოლკლორში. მუჰაჯირობის თემა ხალხურ ტექსტებში. სახალხო გმირები. კავკასიის ხალხთა საისტორიო ზეპირსიტყვიერების თავისებურებანი.

ერატურა: ლ. ჩლაიძე, კავკასიური ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 98-123. ხ. მამისიმედიშვილი, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კონსპექტი, **ტექსტები:** კრებულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ., 2008. გვ. 343-344. 372. 436-438. 447-454. 659. 957. 991-993.

მარე ლიტერატურა: ხ. მამისიმედიშვილი, ვაინახები და ქართველი მთიელები, თბ., 1997. მ. ხანგოშვილი, ვაინახების საგმირო ეპოსი, თბ., 2005.

14. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

ასიის ხალხების საგმირო ფოლკლორი. თემა, სიუჟეტი, სტრუქტურა. გმირის იდეალი. კაი ყმის აე. ბალადის ტიპის საგმირონი. რჩეული ტექსტები: სიმღერა ქვრივის ვაჟიშვილსა და ქართველ უკზე (ჩეჩნური ტექსტი), „სალუმან ბლაჟბა“, „ამბავი მამაცი მანჩასი – ფშეკიანის შვილისა და მშვენიერი მადინასი (აფხაზური ტექსტი). „მამაცი ბეკბულათი“, „მურთუზა ალი და მესედუ“ (დარგუული ტექსტი). ხოჩბარი (ხუნძური საგმირო ლეგენდა); მიმართება ქართულ ხალხურ ბალადებთან.

ერატურა: ხ. მამისიმედიშვილი, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კონსპექტი, ზ. კიკნაძე ქართული ფოლკლორი, თბ., 2006. გვ. 114-122. **ტექსტები:** კრებულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ., 2008. გვ. 206-211. 318-321. 368. 440-446. 455. კავკასიური ხალხური პოეზია, თბ., 1959. გვ. 72-77. 115-135.

15. ლექცია 2 სთ. სემინარი 2 სთ.

კავკასიის ხალხების სამგლოვიარო ფოლკლორი. აფხაზური, ლეზგიური და ჩეჩნური ხმით ნატირლები. მიმართება თუშ-ფშაჟ-ხევსურულ ხმით ნატირლებთან. პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ტექსტები და რიტუალები.

ერატურა: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ. 2006. გვ. 134-145; ხ. მამისიმედიშვილი, ქისტური ხმით ლელები და სამგლოვიარო რიტუალები, „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ორგანოებრივი ინსტიტუტის მოამბე, ტომი XIX, მონრეალი-თბილისი, 2008. გვ. 30-45. ხ. მამისიმედიშვილი, ლექციების კურსი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კონსპექტი. **ტექსტები:** კრებულიდან „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბ., 2008. გვ. 203-204. 374. 546-547. 714. 769-770.

სწავლის შედეგი:

I ცოდნა და გაცნობიერება

1. ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის ცოდნა.
2. კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ჟანრული სისტემის გაცნობიერება.
3. კავკასიის ხალხების მნიშვნელოვანი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ცოდნა.

II პრაქტიკული უნარები

1. ხალხური ტექსტების პროფესიული ანალიზის უნარი.

კავკასიის ხალხების ყოფასთან მათი ფოლკლორული შემოქმედების დაკავშირების უნარი. კულტურული

ურთიერთობების დამყარებისა და ამ ურთიერთობების ანალიზის უნარი.

III ტრანსფერული უნარები

1. ფოლკლორული შემოქმედების შესწავლის საფუძველზე კავკასიის ხალხების მსოფლმხედველობის გაცნობიერება, ეთნიკური და კულტურული პროცესების ანალიზი.
2. კავკასიის ხალხებში სოციალური და პოლიტიკური პროცესების ანალიზი.

სილაბუსი

2009-2010

სასწავლო კურსის დასახელება	აფხაზური ენა 1
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატისათვის (სავალდებულო)
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
ECTS	5 კრედიტი, (125სთ.) 2 ლექცია, 2 სემინარი, 2 პრაქტიკული მეცადინეობა, ლექცია – 30სთ. სემინარი – 30სთ. პრაქტიკული მეცადინეობა – 30სთ.

	სულ საკონტაქტო – 90სთ. დამოუკიდებელი მუშაობა – 35სთ.
ლექტორი	ნანა მაჭავარიანი , ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი. ტელ: 36-27-24 (ბინა), 899-20-88-24 (მობ.) nanamach@rambler.ru
სასწავლო კურსის მიზანი	შეასწავლოს კავკასიურ ენათა სპეციალობის მე-2 მოდულის სტუდენტებს აფხაზური ენის ძირითადი ფონოლოგიურ-ფონეტიკური მოვლენები, რაც დაეხმარება სტუდენტებს ახლომონათესავე ნაზური და დაღესტნური ენების ფონოლოგიურ-ფონეტიკური მოვლენების გაღრმავებულად შესწავლაში.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სტუდენტმა უნდა იცოდეს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითად ლინგვისტურ ტერმინთა მნიშვნელობა და შეეძლოს მათი სწორად გამოყენება. შესწავლილი უნდა ჰქონდეს „ენათმეცნიერების შესავალი“, „შესავალი კავკასიოლოგიაში“.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა.
სასწავლო კურსის შინაარსი	ლექცია №1 (2სთ.) ზოგადი ცნობები აფხაზური ენის შესწავლის შესახებ. შესავალი. ლიტ.: 1, 18-19; 4, 7-24; 6,7-11. (იხ. გვ. 4) სემინარი №1 (2სთ.) პრაქტიკული №1 (2სთ.)
	ლექცია №2 (2სთ.) აფხაზური ენის შესწავლის ისტორია ლიტ.: 1,20-21; 4,25-64; 6,11-22. (იხ. გვ. 4) სემინარი №2 (2სთ.)

სასწავლო კურსის სტატუსი	საგანი გათვალისწინებულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სავალდებულო კურსად.
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	ერთი სემესტრი
ECTS	საგნის კრედიტების რაოდენობა - 5. საკონტაქტო საათების რაოდენობა - 60 სთ. ლექცია - 30 საათი, სემინარი- 30 საათი. დამოუკიდებელი მუშაობა - 65 საათი. სულ - 125 საათი.
ლექტორები	მარინე ფუთურიძე. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ტელ: 29-03-86 (სამსახური); 31-75-36 (ბინა), მობ.: 855-94-75-52.
სალექციო კურსის მიზანი	წარმოდგენილი სალექციო კურსის მთავარი მიზანია ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს მისცეს ზოგადი ცოდნა კავკასიის არქეოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე. იგი სავალდებულო კურსადაა მიჩნეული კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის პროგრამისათვის, თუმცა, მისი მოსმენა ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის მიმართულების სტუდენტებისათვის. აღნიშნული კურსი გულისხმობს კავკასიის არქეოლოგიის პრობლემების და ყველა ეპოქის არქეოლოგიურ კულტურათა ზოგადად შესწავლას. იგი მოიცავს მთელი კავკასიის რეგიონს და შეეხება როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კავკასიის წამყვან არქეოლოგიურ კულტურებს. კურსის კითხვის დროს დეტალურად შევჩერდებით კულტურებზე, რომლებიც ერთიანად მოიცავს კავკასიის ვრცელი გეოგრაფიული არეალის იმ რეგიონებს, რომლებიც

დღევანდელ განსხვავებულ პოლიტიკურ ერთეულებშია ლოკალიზებული - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთი, ოსეთი და სხვა). ეს მომენტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კავკასიის საკმაოდ დიდ ზონაში ქვისა, ბრინჯაოსა და რკინის ეპოქათა არქეოლოგიური კულტურები არც თუ იშვიათად ერთგვაროვანია ან წარმოდგენილია ერთი კულტურის ლოკალური ვარიანტების სახით. გაშუქებული იქნება ზოგადად ანტიკური და შუა საუკუნეების კულტურათა პრობლემატური საკითხები. წარმოდგენილი კურსი სტუდენტებს მისცემს სრულ წარმოდგენას პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების კავკასიის არქეოლოგიურ კულტურათა საერთო სურათის, მათ შორის, რასაკვირველია, წამყვანი კომპლექსების შესახებ. კურსის მიზანია კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი ქვის, ხალკოლითის, ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქების სხვადასხვა კულტურების ნამოსახლარი, სამარხეული და სხვა ხასიათის ძეგლების დახასიათება. ცალკეული კულტურის სპეციფიკური არქეოლოგიური მახასიათებლების წარმოჩენა. აღნიშნული კურსის განმავლობაში სტუდენტებისათვის მიწოდებული იქნება ქრესტომათიული ხასიათის ის არქეოლოგიური კომპლექსები, რომელთა საფუძველზეც ნათლად გაედევნება თვალი მატერიალურ კულტურაში და მასთან ერთად საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში მომხარ გარდატეხებს.

აღნიშნული კურსის ასათვისებლად სტუდენტი უნდა ფლობდეს ბაკალავრიატის I კურსზე წაკითხულ არქეოლოგიის შესავლის პროგრამას.

სასწავლო კურსის ფორმატი

ლექცია, სემინარი

სასწავლო კურსის შინაარსი

თემა I

ლექცია: კავკასიაში არქეოლოგიური კვლევის ისტორია (უვაროვი, რესლერი, შანტრი, იესენი, კრუპნოვი, მარკოვინი, მუნჩაევი, კუფტინი და სხვები). მათ მიერ გათხრილი ძეგლების და ჩატარებული კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა.
სემინარი: კავკასიაში არქეოლოგიური კვლევის ისტორია. (უვაროვი, რესლერი, შანტრი, იესენი, კრუპნოვი, მარკოვინი, მუნჩაევი, კუფტინი და

სხვები). მათ მიერ გათხრილი ძეგლების და ჩატარებული კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა.
ლიტ.: №№1, გვ. 3-10; 2, გვ. 5-15; 3, გვ. 5-8; 7, გვ. 3-20; 25, გვ. 5-21.

თემა II. პალეოლითური ეპოქა და მისი დახასიათება. პალეოლითური ეპოქის პერიოდიზაცია. კავკასიის ქვედა და ზედა პალეოლითური ძეგლები. მეზოლითური ეპოქა და მისი ძეგლები კავკასიაში.
სემინარი: პალეოლითური ეპოქა და მისი დახასიათება. პალეოლითური ეპოქის პერიოდიზაცია. კავკასიის ქვედა და ზედა პალეოლითური ძეგლები. მეზოლითური ეპოქა და მისი ძეგლები კავკასიაში.
ლიტ.: №№1, გვ. 11-32; 2, გვ. 16-28; 3, გვ. 9-31; 25, გვ. 22-43.

თემა III.
ლექცია: ხალკოლითის ეპოქა. ხალკოლითის ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები კავკასიის ტერიტორიაზე. ხალკოლითური ეპოქა – ბრინჯაოს ხანაზე გადასვლის უშუალო წინამორბედი ეტაპი და წინაპირობა. ამ ეპოქის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები. მისი განვითარების თავისებურება. სამეურნეო ცხოვრების ტიპი და მეურნეობის ხასიათი. ხალკოლითური ხანის ძირითადი ძეგლები. ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარების საფუძველი და დახასიათება. ადრესამიწათმოქმედო კულტურის წამყვანი არტეფაქტები.
სემინარი: ხალკოლითის ეპოქა. ხალკოლითის ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები კავკასიის ტერიტორიაზე. ხალკოლითური ეპოქა – ბრინჯაოს ხანაზე გადასვლის უშუალო წინამორბედი ეტაპი და წინაპირობა. ამ ეპოქის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები. მისი განვითარების თავისებურება. სამეურნეო ცხოვრების ტიპი და მეურნეობის ხასიათი. ხალკოლითური ხანის ძირითადი ძეგლები. ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარების საფუძველი და დახასიათება. ადრესამიწათმოქმედო კულტურის წამყვანი არტეფაქტები.
ლიტ.: №№1, გვ. 33-44; 3, გვ. 32-46; 6, გვ. 10-26; 7, გვ. 34-49; 25, გვ. 44-51.

თემა IV.
ლექცია: ხალკოლითური ეპოქიდან ადრე ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდების დახასიათება. ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისი, ეპოქის ძირითადი მახასიათებელი მოვლენები. მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალიზაციის საკითხი

	<p>კავკასიაში. ლითონის ახალი შენადნობის – ბრინჯაოს გამოჩენა და მისი შედეგები ამ კულტურის დაწინაურებისთვის.</p> <p>სემინარი: ხალკოლითური ეპოქიდან ადრე ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდების დახასიათება. ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისი, ეპოქის ძირითადი მახასიათებელი მოვლენები. მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალიზაციის საკითხი კავკასიაში. ლითონის ახალი შენადნობის – ბრინჯაოს გამოჩენა და მისი შედეგები ამ კულტურის დაწინაურებისთვის.</p> <p>ლიტ.: №№1, გვ. 45-53; 2, გვ. 29-35; 3, გვ. 47-59; 7, გვ. 50-58; 25, გვ. 52-56.</p>	
	<p style="text-align: center;">თემა V.</p> <p>ლექცია: ადრე ბრინჯაოს ხანის კავკასიის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა კულტურების კომპლექსების მაგალითზე. ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა კავკასიაში – მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული და განვითარებული ეტაპის ძეგლები. მისი დახასიათება. მტკვარ-არაქსის კულტურის კერამული და ლითონის ნაწარმის დახასიათება.</p> <p>სემინარი: ადრე ბრინჯაოს ხანის კავკასიის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა კულტურების კომპლექსების მაგალითზე. ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა კავკასიაში – მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული და განვითარებული ეტაპის ძეგლები. მისი დახასიათება. მტკვარ-არაქსის კულტურის კერამული და ლითონის ნაწარმის დახასიათება.</p> <p>ლიტ.: №№ 1, გვ. 54-61; 2, გვ. 36-44; 3, გვ. 60-71; 6, გვ. 27-34; 12, გვ. 31-38; 16, გვ. 41-49; 24, გვ. 39-48; 25, გვ. 57-64.</p>	
	<p style="text-align: center;">თემა VI.</p> <p>ლექცია: ადრეეორდანული კულტურის დასაწყისი სამხრეთ კავკასიაში – შუა ბრინჯაოს ხანის I, უადრესი ეტაპი. ადრეეორდანული კულტურის დახასიათება. ამ ეპოქის საზოგადოებისა სოციალური და კულტურული განვითარების სურათი წამყვანი არქეოლოგიური კომპლექსების საფუძველზე. ადრეეორდანული კულტურის ნამოსახლარები და სამარხები საქართველოს ტერიტორიაზე. დაკრძალვის წესი ადრეეორდანულ</p>	

კულტურაში და მისი ინოვაციური ხასიათი.
სემინარი: ადრეეორდანული კულტურის დასაწყისი სამხრეთ კავკასიაში – შუა ბრინჯაოს ხანის I, უადრესი ეტაპი. ადრეეორდანული კულტურის დახასიათება. ამ ეპოქის საზოგადოების სოციალური და კულტურული განვითარების სურათი წამყვანი არქეოლოგიური კომპლექსების საფუძველზე. ადრეეორდანული კულტურის ნამოსახლარები და სამარხები საქართველოს ტერიტორიაზე. დაკრძალვის წესი ადრეეორდანულ კულტურაში და მისი ინოვაციური ხასიათი.
ლიტ.: №№ 1, გვ. 62-69; 2, გვ. 45-48; 4, გვ. 32-42; 6, გვ. 35-44; 12, გვ. 39-46; 25, გვ. 65-69.

თემა VII. ლექცია: ჩრდილო კავკასიის მაიკოპის კულტურა. დაკრძალვის წესი, კერამიკული და მეტალურგიული ნაწარმი, ტორევეტიკა და ოქრომჭედლობა. მაიკოპის კულტურის ქრონოლოგიის საკითხი და მისი სინქრონიზაცია კავკასიის სხვა კულტურებთან.
სემინარი: ჩრდილო კავკასიის მაიკოპის კულტურა. დაკრძალვის წესი, კერამიკული და მეტალურგიული ნაწარმი, ტორევეტიკა და ოქრომჭედლობა. მაიკოპის კულტურის ქრონოლოგიის საკითხი და მისი სინქრონიზაცია კავკასიის სხვა კულტურებთან.
ლიტ.: №№ 1, გვ. 70-76; 2, გვ. 48-53; 4, გვ. 43-48; 6, გვ. 44-49; 16, გვ. 55-58; 22, გვ. 38-44; 25, გვ. 70-76; 27, გვ. 61-64; 28, გვ. 46-52.

თემა VIII.
ლექცია: ადრეეორდანული კულტურის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხები. მეტალურგიის სარესურსო ბაზების საკითხი. შუა ბრინჯაო I – გარდატეხის ეპოქა ლითონწარმოებაში. ადრეეორდანული კულტურა – ოქრომჭედლობის პირველი საფეხური კავკასიაში. ადრეეორდანული კულტურის განვითარებული ეტაპი სამხრეთ კავკასიაში - ბედენის კულტურა.
სემინარი: ადრეეორდანული კულტურის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხები. მეტალურგიის სარესურსო ბაზების საკითხი. შუა ბრინჯაო I – გარდატეხის ეპოქა ლითონწარმოებაში. ადრეეორდანული კულტურა – ოქრომჭედლობის პირველი საფეხური კავკასიაში. ადრეეორდანული კულტურის განვითარებული ეტაპი სამხრეთ კავკასიაში - ბედენის კულტურა.
ლიტ.: №№ 1, გვ. 77-81; 2, გვ. 54-61; 6, გვ. 50-56; 16, გვ. 59-

66; 24,გვ.64-68; 25, გვ.77-85; 27,გვ.65-71.

თემა IX.

ლექცია: კარმირ-ბერდის (თაზაკენის) და სევან-უზერლიკის შუა ბრინჯაოს ხანის კავკასიის კულტურები. მათი წამყვანი კომლექსები და დამახასიათებელი თავისებურებები.

სემინარი: კარმირ-ბერდის (თაზაკენის) და სევან-უზერლიკის შუა ბრინჯაოს ხანის კავკასიის კულტურები. მათი წამყვანი კომლექსები და დამახასიათებელი თავისებურებები.

ლიტ.: №№ 3, გვ. 53-58; 5,გვ, 37-43; 6, გვ.57-65; 7,გვ. 56-64; 16,გვ.67-72; 22,გვ.50-56; 24,გვ.69-76; 25, გვ.86-91; 27,გვ.72-75; 28, გვ.63-68.

თემა X.

ლექცია: კარმირ-ვანქის კულტურა სამხრეთ კავკასიაში. მისი ლოკალიზაციის, კულტურული ატრიბუციის და ქრონოლოგიური კუთვნილების პრობლემები. კარმირ-ვანქის კომპლექსები და სამარხეული ინვენტარი.

სემინარი: კარმირ-ვანქის კულტურა სამხრეთ კავკასიაში. მისი ლოკალიზაციის, კულტურული ატრიბუციის და ქრონოლოგიური კუთვნილების პრობლემები. კარმირ-ვანქის კომპლექსები და სამარხეული ინვენტარი.

ლიტ.: №№ 3, გვ. 59-64; 5,გვ, 44-48; 7,გვ. 65-68; 16,გვ.73-79; 24,გვ.77-83; 25, გვ.92-97; 27,გვ.76-79; 28, გვ.69-74.

თემა XI.

ლექცია: შუა ბრინჯაოს ხანის II ეტაპი – თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა და მისი ძირითადი მახასიათებლები. მისი სამარხეული ძეგლები საქართველოში და დანარჩენ კავკასიაში. თრიალეთური კულტურის დაკრძალვის წესი და თავისებურებანი. თრიალეთური კულტურის კერამიკული და ბრინჯაოს მეტალურგიის ნაწარმი. თრიალეთური კულტურის ოქრომჭედლობა – ოქრომჭედლობის აყვავების პირველი ეტაპი კავკასიაში. თრიალეთური კულტურის ქრონოლოგიის და კულტურული კუთვნილების საკითხები.

სემინარი: შუა ბრინჯაოს ხანის II ეტაპი – თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა და მისი ძირითადი მახასიათებლები. მისი სამარხეული ძეგლები საქართველოში და დანარჩენ კავკასიაში.

თრიალეთური კულტურის დაკრძალვის წესი და თავისებურებანი. თრიალეთური კულტურის კერამიკული და ბრინჯაოს მეტალურგიის ნაწარმი. თრიალეთური კულტურის ოქრომჭედლობა – ოქრომჭედლობის აყვავების პირველი ეტაპი კავკასიაში. თრიალეთური კულტურის ქრონოლოგიის და კულტურული კუთვნილების საკითხები.

ლიტ.: №№1, გვ. 95-98; 2,გვ.76-82; 3, გვ. 65-73; 5,გვ. 49-54; 6, გვ.73-79; 7,გვ. 69-77; 16,გვ.80-84; 25, გვ.98-94; 27,გვ.80-86; 28, გვ.75-79.

თემა XII.

ლექცია: კავკასიის გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურა. ყობანური კულტურა და მისი ძირითადი ნიშნები. გვიან ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის დახასიათება. გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურის ნამოსახლარები, სამაროვნები და საკულტო ძეგლები.

სემინარი: კავკასიის გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურა. ყობანური კულტურა და მისი ძირითადი ნიშნები. გვიან ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის დახასიათება. გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურის ნამოსახლარები, სამაროვნები და საკულტო ძეგლები.

ლიტ.: №№ 3, გვ. 74-79; 5,გვ. 55-59; 6, გვ.80-89; 7,გვ. 78-85; 16,გვ.85-89;25, გვ.95-99; 27,გვ.87-92.

თემა XIII.

კავკასიის ადრერკინის ხანის კულტურა და მისი წამყვანი ძეგლები, მისი ძირითადი ნიშნები. მატერიალური კულტურის წამყვანი ელემენტები და მათი დახასიათება. კერამიკული ნაწარმი. ლითონწარმოების ნიმუშები და რკინის მეტალურგიის საკითხები. განვითარებული ანტიკური ხანის დახასიათება კავკასიის ამ ეპოქის ძეგლების მიხედვით.

სემინარი: კავკასიის ადრერკინის ხანის კულტურა და მისი წამყვანი ძეგლები, მისი ძირითადი ნიშნები. მატერიალური კულტურის წამყვანი ელემენტები და მათი დახასიათება. კერამიკული ნაწარმი. ლითონწარმოების ნიმუშები და რკინის მეტალურგიის საკითხები. განვითარებული ანტიკური ხანის დახასიათება კავკასიის ამ ეპოქის ძეგლების მიხედვით.

ლიტ.: №№ 1, გვ. 105-108; 2,გვ.88-95; 3, გვ. 79-86; 5,გვ. 60-66; 6, გვ.90-94; 7,გვ. 86-91; 16,გვ.90-96; 24,გვ.94-99; 25, გვ.100-104; 28, გვ.87-94.

თემა XIV.

ლექცია: კავკასია გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში. მისი ქრესტომათიული ძეგლები სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის რეგიონში.

სემინარი: კავკასია გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში. მისი ქრესტომათიული ძეგლები სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის რეგიონში.

ლიტ.: 1, გვ. 109-113; 2, გვ. 96-101; 3, გვ. 87-94; 5, გვ. 67-72; 6, გვ. 95-98; 7, გვ. 92-97; 16, გვ. 97-102; 22, გვ. 91-96.

თემა XV.

ლექცია: კავკასია განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში. კავკასიის განვითარებული შუა საუკუნეების კულტურები. ამ რეგიონის კულტურათა განვითარებული შუა საუკუნეების ქრესტომათიული ხასიათის ძეგლები.

სემინარი: კავკასია განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში. კავკასიის განვითარებული შუა საუკუნეების კულტურები. ამ რეგიონის კულტურათა განვითარებული შუა საუკუნეების ქრესტომათიული ხასიათის ძეგლები.

ლიტ.: 1, გვ. 114-121; 2, გვ. 102-107; 3, გვ. 95-99; 5, გვ. 73-78; 6, გვ. 99-104; 7, გვ. 98-105; 16, გვ. 103-107; 22, გვ. 97-105; 24, გვ. 104-108; 25, გვ. 113-119; 28, გვ. 99-106.

შეფასება

დასწრება – 10 %

კოლიქვიუმი – 30% (15 % . 2)

პრეზენტაცია სემინარზე – 20%

საბოლოო გამოცდა – 40%

გამოცდის სახე – წერიტი.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა საბოლოო შეფასების 50% (20 ქულა).

სავალდებულო ლიტერატურა:

1. ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, პირველყოფილი ეპოქა, თბ., 2003.
2. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006.
3. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.- თბილისი, 1969.
4. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის. – თბ., 1998.
5. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული

- ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
6. საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, 1991.
 7. საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, 1992.
 8. მ. ფუთურიძე, შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა განვითარების სურათი სამხრეთ კავკასიაში. “ძიებანი”, დამატებანი X., თბილისი, 2003.
 9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1971.
 10. თ. კილურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
 11. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთ საქართველოში. – თბილისი, 1993.

12. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, რ აბრამიშვილის რედაქტორობით. თბ. 1978.

13. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974.
14. Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и Средняя бронза Кавказа. М., 1994.
15. Асланов Г. Ваидов Р. Йоне Р. Древний Мингечаур, Баку 1959
16. Ахундов Т. Северо-Западный Азербайджан в эпоху Энеолита и Бронзы. – Баку, 2001.
17. Деведжян. С. Археологические исследования в Ташир-Дзорагете. – Ереван, 2001.
18. Крупнов Е. Древняя история северного Кавказа, М 1960
19. Крупнов Е. Древняя история и культура Кабарды, М. 1957.
20. Кушнарева К. Южный Кавказ в 9-2 тыс. до н.э. – СПб., 1993.
21. Куфтин Б. Археологические раскопки Триалети. – Тбилиси, 1941.
22. Лордкипанидзе О. Наследие древней Грузии, Тб. 1989.
23. Марковин В., Мунчаев Р. Северный Кавказ. – М., 2003.
- Мунчаев Р. Древнейшая культура северо-восточного Кавказа. – М., 1961.
24. Мунчаев Р. Кавказ на заре бронзового века. – М., 1975.
25. Рындина Н., Дегтярева А. Энеолит и бронзовый век. – М., 2002.
26. Северный Кавказ: Историко-Археологические очерки и заметки. Сб. статей., М., 2001.
27. Проблемы древней истории и культуры Северного Кавказа. – М., 2004.
28. Хачатрян Т. Древняя культура Ширака, Ер. 1975
29. Abramischvili R.. und M. Archaologische Denkmaler in Stadtgebiet von Tbilisi, Untervegs zum Goldenen

	<p>Vlies_Archaologische Funde aus Georgien , Saarbrucken,1995, 187-205. 30. Abramischvili R.. und M. Archaologische Denkmaler in Tbilisi, Vernissage, N2 ,52-57, Saarbrucken,1995</p>	
<p>სწავლების შედეგი:</p>	<p>აღნიშნული კურსის გაელის შემდეგ სტუდენტს შეეძლება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას კავკასიის სხვადასხვა ეპოქების კულტურული განვითარების მსვლელობის შესახებ. კავკასიის ვრცელ რეგიონში არსებული არქეოლოგიური კულტურების სიჭრელის, ამ რეგიონში მათი წარმოშობისათვის არსებული წინაპირობის და ტრადიციის შესახებ. სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების ყველა არქეოლოგიური კულტურის, ქრესტომათიული არქეოლოგიური კომპლექსების და მრავალფეროვანი არტეფაქტების შესახებ.</p>	

სილაბუსი

2009-2010

სასწავლო კურსის დასახელება: რელიგიის ისტორია და რელიგია თანამედროვე მსოფლიოში
სასწავლო კურსის კოდი:

სასწავლო კურსის სტატუსი: სალექციო კურსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: სასწავლო წლის 1 სემესტრი (კვირაში 3 საკონტაქტო საათი).

ETCS 5 კრედიტი. 2 ლქ + დ/მ 2 სთ. = 15X2 + 15X 2 = 60 სთ. 1 სმ + დ/მ 2 სთ = 15 + 15 X 2 = 45 სთ. გამოცდა 20 სთ. სულ 125 სთ. : 25 = 5 ECTS

ლექტორი: ქეთევან ხუციშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ტელ: 39-16-06 (სახ.), 8 95 45-70-07 (მობ). E-mail: keti_khutsishvili@yahoo.com

სასწავლო კურსის მიზანი: რელიგია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით კულტურული ფენომენია, რომელიც კულტურული კონტექსტის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის გონების მდგომარეობის ასახვას წარმოადგენს. ანთროპოლოგიათა არსებითია არა ღვთაებრივი ტექსტების დადგენა, არამედ რელიგიური ან ასეთად მიჩნეული რწმენის გამოვლინებათა ანალიზი, ფაქტების აქტუალური კონტექსტის გათვალისწინებით. რელიგიის ანთროპოლოგიურ თეორიაში კულტურა რელიგიის განსაკუთრებული დეტერმინანტია. რელიგიის ფუნქციებს პრაქტიკული სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება და პირადი სულიერი უსაფრთხოების ან ერთიანობის დაცვისთვის საფუძვლის შექმნა წარმოადგენს. ამ მიმართებით არსებითია კავშირი რელიგიასა და იდენტურობის საკითხს შორის. გლობალიზაციის შედეგია მოდერნიზაციის პროცესები, რისთვისაც დამახასიათებელია რწმენა-წარმოდგენების და პიროვნული არჩევანის გამოსატყვის სხვადასხვაობის ზრდა. ამასთან, მიმდინარეობს არატრადიციული რელიგიური ორგანიზაციების დაახლოება ან რიგ შემთხვევებში გაერთიანებაც. ამის საპასუხო რეაქციას კი ტრადიციული მიმდინარეობების ფუნდამენტალიზაცია წარმოადგენს. გლობალიზაცია-მოდერნიზაციის საერთო შედეგად კი რელიგიური სიტყვლე წარმოგვიდგება, თანმდევი პროცესებით ანუ დაძაბულობის მუხტის შეტანით საზოგადოებაში. ისტორიული კატაკლიზმებისა და არასტაბილურ დროში მცხოვრები ინდივიდები სულიერი წონასწორობის მისაღწევად ძირითადად რელიგიურ ღირებულებათა სისტემებს მიმართავენ. ამასთან, გლობალურ მოვლენას წარმოადგენს ძველ იდეებთან შედარებით არატრადიციული რელიგიური შეხედულებებისადმი ინტერესი, რასაც განიხილავს როგორც ზოგად ანთროპოლოგიური ასევე სოციოლოგიური მიხედვები. წარმოდგენილი კურსის მიზანია გააცნოს ახალგაზრდებს რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის საფუძვლები და რელიგიური ვითარება თანამედროვე მსოფლიოში. პროგრამა გაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ბლოკში შედის რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის თეორიული საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელი და მნიშვნელოვანია არა მარტო რელიგიის კვლევით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებისა და თანამედროვე სოციალური ურთიერთობების მომავალ მკვლევართათვის. მეორე ბლოკში განხილული იქნება თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი რელიგიური მიმდინარეობები და ჯგუფები, მათი ჩამოყალიბების ისტორია, მოძღვრების არსი და პრაქტიკა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება თანამედროვეობასთან მიმართებაზე. ხოლო მესამე ბლოკი დაეთმობა თანამედროვე საქართველოში რელიგიური სიტუაციის განხილვას. რელიგიური შემწეობით ცნობილ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე დია ხასიათი მიიღო რელიგიურმა დაპირისპირებამ. ამ ფონზე ყალიბდება ნეგატიური სტერეოტიპები ამათუიშ რელიგიური ჯგუფის არსისა და საქმიანობის შესახებ. მასობრივი მედიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზოგჯერ პოლიტიკური ინტერესების მქონე ჯგუფების მხრიდან რელიგიური (ან რელიგიური მოტივებით შენიღბული) წინააღმდეგობებით მანიპულირება აჩენს რელიგიური შეუწყნარებლობის სტიმულირებისა და რელიგიურ ნიადაგზე არსებული სოციალური დაძაბულობის სოციალურ კონფლიქტში გადაზრდის საშიშროებას. პროცესების ამ მიმართულებით განვითარება ხელს შეუშლის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და საზოგადოების კონსოლიდაციას დემოკრატიულ საფუძველზე, ამდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდები ფლობდნენ რეალურ ინფორმაციას როგორც რელიგიური ჯგუფების მოძღვრებისა და პრაქტიკის, ასევე საერთო რელიგიური ფონის შესახებ მსოფლიოში.

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: წარმოდგენილი კურსის შესწავლას განსაკუთრებული წინაპირობა არ აქვს.

სასწავლო კურსის ფორმატი: სალექციო და სასემინარო კურსი

სასწავლო კურსის შინაარსი

1 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 1. შესავალი. საგნის არსი. ტერმინთა დეფინიციები. ძირითადი ცნებები და ელემენტები. რელიგია და მეცნიერება. რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევა. კვლევის თავისებურებანი და მოკლე ისტორია. ანთროპოლოგიური მეთოდები და მიდგომები. რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის ტრადიცია და ძირითადი საკითხები: მიულერი, სპენსერი, ტეილორი, ფრეზერი, დიურჰეიმი, ჰუმბერტი, ევანს-პრიტიჩარდი, ლენგი, მაკლენანი, რობერტსონ-სმიტი, რედკლიფ-ბრაუნი, ლევი-სტროსი, მოსი.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
3. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
4. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
5. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986.
6. Morris B. Anthropological studies of religion, Cambridge University Press, 1987

2 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 2. რელიგია და სოციოლოგია. სოციოლოგიური მიდგომები და მეთოდები. რელიგია სოციოლოგიურ სკოლებში: თეორიული ანალიზი (დიურქჰეიმი, ვებერი). საზღვრების შესწავლა, შექმნა და გადალახვა. რელიგიური სტრატეგიკაცია და რელიგიურობის სტრატეგიკაცია. რელიგია და ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიური თეორიები რელიგიების შესახებ: რ. ოტტო, რადინი, რ. ლოვი, უ. ჯეიმსი, მალინოვსკი, ზ. ფროიდი, ე. ფრომი, კ. იუნგი, მ. ელიადე. რელიგია და ემოციები. რელიგია როგორც არქეტიპი. კოლექტიური არაცნობიერი. სიმბოლოთა ინტერპრეტაცია.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
3. ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
4. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
5. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
6. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986
7. Hendry J. An introduction to social anthropology London 1999
8. Morris B. Anthropological studies of religion, Cambridge University Press, 1987

3 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 3. რელიგიის თეორიული ანალიზი. რელიგიის კონცეპტუალიზაცია: მისი ანალიტიკურ კატეგორიად ქცევა. რელიგიის არსი, ფუნქციები და სტრუქტურა (სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი). პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომები (ლევე-ბრული, დუგლასი, ლიჩი, კასირერი, ტერნერი, ვან გენეპი). რელიგიური აზროვნება: სტრუქტურა და ჰერმენევტიკა (კ. ლევე-სტროსი, ე. გელნერი, ჯ. გუდი, ჰორტონი). რელიგიური აზროვნების ტიპები. სტერეოტიპთა პრობლემა.

სინკრეტიზმისა და სინთეზის პრობლემა. რიტუალური წარმოდგენების ენა. რიტუალური სიმბოლიზმი და სოციალური სტრუქტურა. რიტუალური პროცესი. რელიგიის კროს-კულტურული კვლევა. რელიგიის კვლევა კატეგორიებად დაყოფის გარეშე (ინტერდისციპლინარული კვლევა). რელიგია როგორც იდეოლოგია. დ. სტრაუსის, ფოიერბახის, ჰეგელის შეხედულებები რელიგიის შესახებ. ისტორიული მატერიალიზმი, რელიგია და კლასობრივი სტრუქტურა (მარქსი, ენგელსი). სტრუქტურული მარქსიზმი (მორის გოდელი). საზღვრებისა და ბარიერების შექმნის პრობლემა.

ტაბუ, ჭეშმარიტება და რელიგია. ეთნიკურ-რელიგიური ურთიერთობების საკითხი. რელიგიით მანიპულირების პრობლემა ღია კონფლიქტებში (გენოციდი ღვთის სახელით და ა.შ.). კულტი და ქარიზმა.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
3. ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
4. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
5. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
6. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986
7. Hendry J. An introduction to social anthropology London 1999
8. Morris B. Anthropological studies of religion, Cambridge University Press, 1987

4 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 4. რელიგია ისტორიულ ჭრილში. დრო და რელიგია. დროის როგორც სოციალური და კულტურული ფენომენის გავლენა რელიგიაზე. რელიგიის მნიშვნელობა ევოლუციაში. რიტუალი

და რელიგია კაცობრიობის ფორმირებაში. რიტუალი როგორც კომუნიკაციის განსხვავება. რიტუალი, როგორც ადაპტაციის საშუალება. რელიგიურობის ფორმები (ზოგადი დახასიათება). სამოქალაქო რელიგია. ფანატიზმი. ფუნდამენტალიზმი. ინტეგრალიზმი. ინკულტურაცია. რელიგიის ორგანიზაცია. რელიგიური ორგანიზაციის ტიპები: ეკლესია, სექტა, დენომინაცია, კულტი და სხვ. რელიგიური მოძრაობების კონსტრუქცია (კონტრ-კულტურის ფორმირება). მისი მიმართება ცენტრალურ ანთროპოლოგიურ ცნებებთან – საზოგადოება, ეგალიტარიზმი, ინდივიდუალიზმი, პოლიზმი, ავტონომია და ა.შ. რელიგია და კულტურა. ადამიანი როგორც კულტურული არსება. კულტურის მნიშვნელობა და გავლენა ინდივიდზე და საზოგადოებაზე. რელიგია როგორც კულტურული სისტემა. რელიგია როგორც კულტურა (კლიფორდ გირცი). ტრადიციის ცვლილება და რელიგიის ახლებური გააზრება - კოგნიციისა და კულტურის კავშირი.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
3. ალასანია გ. აღმსარებლობის როლი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, კრ. ქართული საეკლესიო გალობა. ერი და ტრადიცია, თბილისი 2001
4. თოფჩიშვილი რ., ქურდიანი მ., ეთნიკური კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის რელიგიური ასპექტები, კრ. ქართველური მეტეკვიდრეობა V, ქუთაისი, 2001
5. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
6. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001

5 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 5. რელიგია და საზოგადოება. საკრალურის სოციალური კონსტრუქცია. სულიერების მატერიალურობა. ობიექტების, ადგილისა და საზღვრების რელიგიურობა. რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები. რელიგიის განსხვავებული ფორმები და ორგანიზაცია განსხვავებულ საზოგადოებებში. რელიგია ცვალებად საზოგადოებაში: უთანაბრობა და სოციალური ცვლილება. რელიგია და მედია (ე.წ. “ელექტრონული ეკლესია”). რელიგია და მეცნიერება. ინტერკულტურული კომუნიკაციები და რელიგია. რელიგია და გენდერული კვლევები. ძალაუფლებისა და სქესის საკითხი რელიგიაში. სოციალური განსხვავებულობა რელიგიაში (რელიგიის პატრიარქალურობა). ქალთა უფლებები და რელიგიური ფუნდამენტალიზმი. რელიგია სოციალურ ჭრილში. ადამიანი როგორც სოციალური არსება. სოციალური რეალობის ჩამოყალიბება. ცოდნის უტილიტარობის საკითხი. ინდივიდის რეალობის ცვალებადი ბუნება. წარსულის მნიშვნელობა სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებაში. კოსმოგონია-კოსმოლოგია და სოციალური სტრუქტურა. სოციალური არაერთგვაროვნება/უთანასწორობა და რელიგია (სოციალური კონფლიქტის ანალიზი). რელიგია და სოციალური ცვლილებები. პირველადი და მეორადი სოციალიზაცია. სოციალური ტრანსფორმაცია, იდენტურობის პრობლემა და რელიგიური მოძრაობები. რელიგია და სოციალური სტრატეგიკაცია. რელიგიის სოციალური კონსტრუქცია და სტრუქტურა, პოზიციები და პერსპექტივები. რელიგიური ეთნოცენტრიზმი: ღირებულებები და მიზეზები. კონტექსტი და რელიგიის კავშირი სოციალური ყოფის სხვადასხვა არეებთან.

ლიტ:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
2. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
3. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
4. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
5. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001
6. ხუციშვილი ლ., რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, წიგნში კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი 1998
7. Дергачев В. Геополитика, Киев, 2000
8. Дугин А. Основы Геополитики, Москва, 1999

6 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 6. რელიგია და პოლიტიკა. რელიგიისა და პოლიტიკის პოტენციური კომბინაციის თეორიული

ანალიზი. პოლიტიკა და ემოციები. რელიგია, პოლიტიკა და რიტუალი (რიტუალი როგორც პოლიტიკური აქცია). ეთნო-რელიგიური ობიექტების მნიშვნელობა და მათი პოლიტიკური გამოყენება. სახელმწიფოები, საზღვრები და დომინანტური სივრცის მიმართება. ეთნიკურობა, ნაციონალიზმი, პოლიტიკის ხსენებითი ავტორიტარიზმი, რელიგიური ტრანსნაციონალიზმი, რელიგიური იდენტურობა, დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო, რელიგიური უმცირესობები, რელიგიურ-პოლიტიკური დიასპორები და პოლიტიკური რელიგია. რელიგია და პოლიტიკური ორგანიზაციების ევოლუცია – ანთროპოლოგიური პერსპექტივა. რელიგია და ყოველდღიური ყოფა. რეალობის სოციალური კონსტრუქცია. ტრადიციის ცვლილების გავლენა რელიგიურ სისტემებზე და ღირებულებებზე.

ლიტ:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
2. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
3. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
4. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
5. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001
6. ხუციშვილი ლ., რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, წიგნში კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი 1998
7. Дергачев В. Геополитика, Киев, 2000
8. Дугин А. Основы Геополитики, Москва, 1999

7 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 7. რელიგია და თანამედროვეობა. რელიგია როგორც იდენტურობა. პოსტ-მოდერნისტული სამყაროს პოლიტიკა და რელიგია. ტრადიციის ცვლილება და “თანამედროვე რელიგიურობა”. თანამედროვე ნეო-პაგანიზმი: თეორიისა და პრაქტიკის მიმართება. სექულარიზაცია და დესეკულარიზაციის მიზეზები. პიროვნული ღირებულებები და იდენტურობის პრობლემა თანამედროვე სამყაროში. რელიგია და ეთნიკურობა. რელიგიის როლი თანამედროვე ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. პოლიტიკა და რელიგია თანამედროვე მსოფლიოში_რელიგია XXI საუკუნეში: განვითარების პერსპექტივები. სამოქალაქო პროცესები და ცივილიზაციების შედარებითი სწავლება. კატეგორიების საზღვრების გადაკვეთა.

ლიტ:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
2. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
3. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
4. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
5. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
6. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001
7. ხუციშვილი ლ. რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), თბილისი 2002
8. ხუციშვილი ლ., რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, წიგნში კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი 1998

8 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 8. თანამედროვე რელიგიები: იუდაიზმი. მოკლე ისტორიული ექსკურსი. თანამედროვეობა და იუდაისტური წეს-ჩვეულებანი (ლოცვა, მეზუზა, ციციტი, წინადაცვეთა, განბანა და ა.შ.) დღესასწაულები (პასეჟი, შაბათი, სუკოტი, რომ-ჰაშანა, განკითხვის დღე). მარხვები. ნებადართული და აკრძალული საკვები. თაღმუდის და მისი მორალური დოქტრინა. კაბალა. მიმდინარეობები იუდაიზმში. მარგინალური იუდაიზმი.

ლიტ:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
2. პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ. 2002

3. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
4. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
5. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004

9 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 9. ბუდიზმი. მოკლე ისტორიული ექსკურსი. ბუდისტური კოსმოლოგია. ბუდისტური რწმენა და კულტები. ბუდისტური მორალი და ზნეობრივი იდეალი. ხსნის გზა. სანსარის ბორბალი. ბუდისტური წეს-ჩვეულებანი. წმინდა ადგილები. ღოცვა. თილისმათა რწმენა. შეხედულებანი სიკვდილის შესახებ. დაკრძალვის წესები. დღესასწაულები. კანონიკური ტექსტები: ტიპიტაკა, ვინაიაპიტაკა, სუტაპიტაკა, აბჰიდამაპიტაკა. არაკანონიკური ლიტერატურა. ბუდისტური თემი. ბუდიზმის ძირითადი მიმართულებანი და სკოლები (ტჰერავადა, მაჰაიანა, ვაჯრაიანა). მარგინალური ბუდიზმი. ბუდიზმის გავრცელების მოკლე ისტორია. ლამაიზმი. ლამაისტური ეთიკის საფუძველი. კანონიკური წიგნი „10 შავი ცოდვა და 10 თეთრი ღირსება“.

ლიტ:

1. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
2. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
3. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
4. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986

10 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 10. ინდოელთა რელიგიური შეხედულებები. მცირე ისტორიული ექსკურსი და ინდური კულტურის ზოგადი მიმოხილვა. ვედები და მათი გავლენა ინდოელთა ტრადიციულ ყოფაზე. ღვთაებათა ინდუისტური პანთეონი და კულტები. ჯადოსნობა. კოსმოგონია. შეხედულებები ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებათა შესახებ. ბრაჰმანიზმი. წარმოდგენები სულთა გადასახლების შესახებ. ინდური მითოლოგია და ფოლკლორი (ზოგადი დახასიათება). ინდუისტური რელიგიური დღესასწაულები და მათი როლი ყოფით ტრადიციებში. ინდუისტური მიმდინარეობები (ვიშნუიზმი, შივაიზმი, შაკტიზმი). რეფორმირებული ინდუიზმი (შანკარაჩარია, კაბიტპანტი. ბრაჰმა სამაჯი, არია სამაჯი, რამაკრიშნას მისია). მარგინალური ინდუიზმი (ნეოინდუიზმი: ტრანსცენდენტალური მედიტაცია, ანანდა მარგა, შრი ჩინმოიას ცენტრი, სანიასინთა საერთაშორისო კომუნა, ღვთაებრივი სიცოცხლის საზოგადოება, ბრაჰმა კუმარისი, ტანტრა სანგჰა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება, ღვთაებრივი ნათლის მისია). ჯაინიზმი (დიგამბარა, შვეტამბარა). სიკჰიზმი: (ორთოდოქსალური (ხალსა) და სექტანტური სიკჰიზმი (სახაჯდჰარი).

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
3. ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
4. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
5. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
6. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
7. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986
8. Шохин В. Брахманистская философия Москва, 1994

11 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 11. ქრისტიანობა. მოკლე ისტორიული ექსკურსი (ქრისტიანობის ჩასახვა, დრო და ადგილი. ქრისტიანობის კავშირი იმდროინდელ წინა აზიაში გავრცელებულ რელიგიურ შეხედულებებთან და ფილოსოფიურ სისტემებთან. აქტუალური ესქატოლოგიის სტადია. კულტის განვითარება. რომის იმპერიაში სახელმწიფო ეკლესიად ჩამოყალიბება. ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია. ადრეული ქრისტიანული მიმდინარეობანი. ოფიციალური დოგმატური სისტემის ჩამოყალიბება. ქრისტიანობა და ანტიკური კულტურა. ქრისტიანული ღვთისმეტყველება. მისი ძირითადი არსი და

სისტემა). ქრისტიანული მორალის თავისებურებანი. ადამიანის ქრისტიანული იდეალი. დირებულებათა პრობლემა. ქრისტიანული კულტი და ღვთისმსახურება. ქრისტიანული საიდუმლოებანი. ლოცვა. ხატები. ჯვრის თავყანისცემა. რელიკვიათა და წმინდა ნაწილების კულტი. საკულტო ადგილები. დღესასწაულები. მარხვები. ბიბლია. ძირითადი მიმდინარეობანი ქრისტიანობაში. მართლმადიდებლობა (მოძღვრების არსი, გაჩენა-განვითარება, მართლმადიდებლური ეკლესიის ორგანიზაცია, თავისებურებანი). კათოლიციზმი (მოძღვრების არსი. ჩამოყალიბების ისტორია, ორგანიზაციული სტრუქტურა, იერარქია, თავისებურებანი). პროტესტანტიზმი (რელიგიური არსი, რეფორმისტული მოძრაობა, პროტესტანტიზმის გავრცელება, პროტესტანტული ორგანიზაციები: ლუთერანობა, კალვინიზმი, ანაბაპტიზმი, ანგლიკანიზმი, მენონიტები, ბაპტისტები, კვაკერები, მეთოდისტები, მორმონები, ადვენტისტები). ქრისტიანული სექტები. ქრისტიანობა და თანამედროვე მსოფლიო. ეკუმენისტური მოძრაობა.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
2. გაბიძაშვილი ო. პროტესტანტიზმი (II გამოცემა) თბილისი 2001
3. ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
4. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
5. Бессонов М. Православие в наши дни, Москва, 1990
6. Гараджа В. Протестантизм, Москва, 1971
7. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
8. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
9. Чанышев А. Протестантизм, Москва, 1969
10. Христианство, словарь под ред. Митрохина Л.Н., Лещинского А.Н., Одинцова М.И., и Рашковой Р.Т. Москва, 1994

12 კვირა 2ლკ.+1სმ

თემა 12. ისლამი. მოკლე ისტორიული ექსკურსი (რელიგიური ვითარება არაბეთის ნახევარკუნძულზე მუჰამედამდე, ისლამის ჩასახვა-განვითარების დრო და პირობები). მუსლიმანური თემი. ისლამის სამართლებრივი სისტემა რელიგიური კანონი. ისლამური მისტიკა მუსლიმანური ღვთისმეტყველება. ალაჰის რწმენა. უკედავი სულები, საშინელი სამსჯავრო, ჯოჯოხეთი და სამოთხე. ანგელოზთა და დემონთა კულტი. წინასწარგანსაზღვრულობის დოგმატი. ისლამის ზნეობრივი პრინციპები და ზნეობრივი იდეალის მიღწევის საშუალებები. წეს-ჩვეულებები (ყურანის კითხვა, ნამაზი, სუნატი, მოწყალების გაცემა, ჰაჯი, წმინდა ადგილთა კულტი) დღესასწაულები: ლეილიადი, ალ კადრი, ურაზა-ბაირამი, ყურბან-ბაირამი, მირაჯი შახსეი-ვახსეი, მავლუდი და ა.შ. მარხვები. ყურანი. ისლამური მიმდინარეობანი: შიიზმი და სუნიზმი, მათი წარმოშობა და გავრცელების არეალი. ისლამი და ნაციონალიზმი. ისლამური სექტები (ვაჰაბიტები, სენუსიტები, ახმადია, შავი მუსლიმანები, სუბუდი). ისლამის რეფორმაციის საერთო დახასიათება. თანამედროვე მსოფლიო და ისლამი.

ლიტ:

1. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
2. პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
3. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
4. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, რედ. გ. ბერაძე, თბილისი 1999
5. ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
6. История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
7. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
8. Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986

13 კვირა 2ლკ.+1სმ

თემა 13. თანამედროვე რელიგიური მიმდინარეობანი. თავისუფალი ეკლესიები. ეზოთერული ჯგუფები. რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობანი. ახალგაზრდული რელიგიები. „ახალი რელიგიები“. სინკრეტული კულტები (საიანტოლოგთა ეკლესია, თეთრი სამძო, პორფირი ივანოვის ერესი, ახალი საუკუნე (New Age), აგნი-იოგა, თეოსოფია, ანთროპოსოფია, ახალი აკროპოლი,

იუნივერი, სპირიტუალიზმი, ამერიკული სინკრეტული კულტები (პეიოტიზმი, სანტერია, პალერია, აფროამერიკული ვუდუ, უმბანდა).

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ. 2002
2. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
3. Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985
4. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
5. Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000

14 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 14 რელიგიური ვითარება თანამედროვე საქართველოში: რელიგიური სიტუაცია საქართველოში. ქრისტიანობა საქართველოში. გავრცელების პირობები და ისტორია. ქართული ქრისტიანობის ეროვნულ რელიგიურ ფენომენად ქცევა. მისი სინკრეტული ხასიათი. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საქართველოში. ქრისტიანობა და ქართული კულტურა. ისლამი საქართველოში: გავრცელების ისტორია, დრო, პირობები, მიზეზები და შედეგები. ეროვნულისა და რელიგიურის მიმართება ქართველ მუსლიმანთა ტრადიციულ ყოფაში. საქართველოში დღეს არსებული სხვა ტრადიციული რელიგიების მოკლე დახასიათება, გავრცელების დრო და პირობები. რელიგიური მიკუთვნებულობის მიმართება ეროვნულ იდენტურობასთან. სახელმწიფოსა და რელიგიის მიმართების საკითხი.

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ. 2002
2. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
3. გეგეშიძე დ. საქართველოს რელიგიური რუკა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შრომების კრებული I თბ. 2002
4. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2004
5. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
6. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001

15 კვირა 2ლქ.+1სმ

თემა 15. რელიგიური ორგანიზაციები თანამედროვე საქართველოში. საქართველოში მოქმედ არატრადიციული რელიგიური ჯგუფების კლასიფიკაცია. I. ქრისტიანული ან ქრისტიანობაზე პრეტენზიის მქონე ჯგუფები: 1. ქართული ჯგუფები; ა) საპატრიარქოდან გამოყოფილი (მკალავიშვილის ჯგუფი, ივანოვის ჯგუფი, განკვეთილი მოძღვრები); ბ) ახლად შექმნილი (მძლეველი, პრომეთეს ცეცხლი) 2. უცხოური ჯგუფები (ახალსამოციქულო ეკლესია, ორმოცდაათიანელები, იელოველები, მეშვიდე დღის ადვენტიტები, სახარებისეულად მორწმუნენი, ახალი დვთაებრივი სიტყვა, სხნის კავშირი, ჭეშმარიტი ქრისტიანები, ბოსტონის ჯგუფი, მუნიზმი); II. აღმოსავლური ჯგუფები (კრიშნაიზმი, რაჯნეშიზმი); III. ისლამური ჯგუფები (ვაჰაბიზმი, ბაჰაიზმი); IV. განსაკუთრებული ჯგუფები (საიანტოლოგია, ანთროპოსოფია).

ლიტ:

1. პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ. 2002
2. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
3. გეგეშიძე დ. საქართველოს რელიგიური რუკა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შრომების კრებული I თბ. 2002
4. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2004
5. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003

6. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001 გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.

შეფასება	სალექციო კურსის მსვლელობისას გათვალისწინებულია ორი კოლოქვიუმის ჩატარება, სტუდენტებს მოეთხოვებათ სემინარზე სამი პრეზენტაცია. საბოლოო შეფასებისთვის ჩატარდება წერთი გამოცდა. შეფასდება, როგორც სასწავლო პროგრამის ცოდნა, ასევე პრეზენტაცია და კოლოქვიუმის შედეგები.	
	დასწრება	5%
	კოლოქვიუმში მონაწილეობა	20%X2=40%
	პრეზენტაცია სემინარზე	5%X3=15%
	საბოლოო გამოცდა	40%
	საბოლოო შეფასება	100%

სავალდებულო ლიტერატურა:

- 1 გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003.
- 2 პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ. 2002
- 3 პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორია), თბილისი, 1996
- 4 ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2004
- 5 Пучков Г.И. Современная география религий, Москва 1985

დამატებითი ლიტერატურა:

- 6 ალასანია გ. აღმსარებლობის როლი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, კრ. ქართული საეკლესიო გალობა. ერი და ტრადიცია, თბილისი 2001
- 7 გაბიძაშვილი ო. პროტესტანტიზმი (II გამოცემა) თბილისი 2001
- 8 გეგეშიძე დ. საქართველოს რეგლიგიური რუკა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შრომების კრებული I თბ. 2002
- 9 თოფჩიშვილი რ., ქურდიანი მ., ეთნიკური კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის რელიგიური ასპექტები, კრ. ქართველური მეგვიდრობა V, ქუთაისი, 2001
- 10 ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, რედ. გ. ბერაძე, თბილისი 1999
- 11 ნადირაძე ე. მსოფლიო რელიგიები, თბილისი 1995
- 12 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 2004
- 13 ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
- 14 ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი 2001
- 15 ხუციშვილი ლ. რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), თბილისი 2002
- 16 ხუციშვილი ლ., რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, წიგნში კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი 1998
- 17 Бессонов М. Православие в наши дни, Москва, 1990
- 18 Гараджа В. Протестантизм, Москва, 1971
- 19 Дергачев В. Геополитика, Киев, 2000
- 20 Дугин А. Основы Геополитики, Москва, 1999
- 21 История религии, ред. Яблоков И.Н. Москва 2002
- 22 Народы и религии мира, энциклопедия, ред. Тишков В. А. Москва, 2000
- 23 Токарев С.А. Религия в истории народов мира, Москва 1986
- 24 Чанышев А. Протестантизм, Москва, 1969

- 25 Шохин В. Брахманистская философия Москва, 1994
- 26 Христианство, словарь под ред. Митрохина Л.Н., Лещинского А.Н., Одинцова М.И., и Рашковой Р.Т. Москва, 1994
- 27 Яновский Р. Глобальные изменения и социальная безопасность, Москва, 1999
- 28 Gasper H., Myller J., Valentin F.; Lexikon der Sekten, Sondergruppen und Weltanschauungen, Herder. Freiburg-Basel-Wien, 1995.
- 29 Hendry J. An introduction to social anthropology London 1999
- 30 Huntington S. Clash of Civilisations, "Foreign Affairs", 1993.
- 31 Morris B. Anthropological studies of religion, Cambridge University Press, 1987
- 32 Reichley A. J. Religion in American Public Life .The Brookings Institution Washington 1985

სწავლის შედეგი: კურსის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებს ექნებათ რეალური წარმოდგენა თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციებისა და არსებული მიმდინარეობების შესახებ. მათ შეეძლება წარმოდგენა, როგორც ცალკეული რელიგიური ჯგუფების მოძღვრებისა და პრაქტიკის, ასევე საერთო რელიგიური ფონის შესახებ მსოფლიოში.

2009/2010 სასწავლო წელი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება:	კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგია
სასწავლო კურსის სტატუსი:	საგანი გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის. შავალდებულო.
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა:	I სემესტრი
ჩთშ	სასწავლო კურსის კრედიტის რაოდენობა-5 კრედიტი -125 სთ. საკონტაქტო - 60 სთ. ლექცია - 30 სთ. სემინარი - 30 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 65 სთ.
ლექტორი:	ლიანა ბითაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე-მაილ: ლია.ბიტაძე@tsu.edu.ge სამსახ. 95 74 46 სახლი 75 10 52 მობ. 893 39 70 71
სასწავლო კურსის მიზანი:	საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური თავისებურება დიდი ხანია იპყრობდა და ახლაც საყოველთაო ყურადღების ცენტრშია

	<p>სხცადასხვა დარგის სპეციალისტებს შორის. ეთნიკური ანთროპოლოგია ეძებს რასობრივ და ტომობრივ ელემენტებს, რომლებიც შესულია ამა თუ იმ ეთნისში. ამდენად ანთროპოლოგიური მასალა იქცევა ისტორიული პროცესების შესწავლის წყაროდ. თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობისა და ეთნოგენეზის კვლევამ ზოგადად აჩვენა, რომ ხალხთა კულტურული და ენობრივი ნათესაობა ხშირად არ შეესაბამება მათ წარმომავლობით ნათესაობას, რადგან ენა და კულტურა შეიძლება გვრცელდეს მათი მატარებლების გარეშე, ხოლო ანთროპოლოგიურ ტიპს ყოველთვის თან ახლავს ენისა და კულტურის გავრცელება. სასწავლო კურსის მიზანია-გავაცნოთ ანთროპოლოგიის კურსის საფუძვლები, კავკასიის ხალხთა ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების თავისებურება, მათ შორის არსებული ეთნოგენეტიკური კავშირები დარგის ფართო მონაცემთა საფუძველზე, რაც მისცემს საშუალებას სტუდენტებს შეძლონ ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები გამოიყენონ კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის კვლევაში.</p>
<p>სასწავლო კურსის წინაპირობები:</p>	<p>წინაპირობის გარეშე</p>
<p>სასწავლო კურსის ფორმატი:</p>	<p>ლექცია, სემინარი</p>
<p>სასწავლო კურსის შინაარსი: ფიზიკური ანთროპოლოგია, არის მეცნიერება ადამიანის შესახებ, რომლის ძირითადი დარგებია: მორფოლოგია, ანთროპოგენეზი და რასათმცოდნეობა. მორფოლოგია სწავლობს ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ, ასაკობრივ, სქესობრივ და ტერიტორიულ თავისებურებებს. ანთროპოგენეზი – მეცნიერება ადამიანის წარმოშობასა და ჩამოყალიბებას. მაშასადამე, ანთროპოგენეზი არის მორფოლოგია განხილული დროში. რასათმცოდნეობა სწავლობს ადამიანის რასებისა და ეთნიკური ჯგუფების მორფოლოგიურ თავისებურებებსა და ვარიაციებს, იკვლევს თანამედროვე რასობრივი, ეთნიკური და ტერიტორიული ჯგუფების წარმოშობისა და ნათესაობის საკითხებს. ეს კი არის მორფოლოგია განხილული სივრცეში.</p>	
